პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 185 (9961) | პარასკევი, 6 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის

საბჭოთა საქართველო განუხრელი აღმავლობის გზით მიდის წინ. ამას ნათლად ადასტურებს საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1954 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ", რომელიც „კომუნისტის" დღევანდელ ნომერში ქვეყნდება.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, სსრ კავშირის ყველა ხალხთა ძმური დახმარებით ქართველმა ხალხმა ახალი წარმატებანი მოიპოვა ეკონომიკის განვითარების, კულტურის აყვავებისა და თავისი კეთილდღეობის დონის ამაღლების საქმეში.

მნიშვნელოვნად წაიწია წინ სოციალისტურმა ინდუსტრიამ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულმა მრეწველობამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საერთო პროდუქციის გამოშვება 1953 წლის პირველ ნახევართან შედარებით 12 პროცენტით გადიდა, აქედან საკავშირო მრეწველობამ — 15 პროცენტით, ხოლო რესპუბლიკურმა — 11 პროცენტით. წლის პირველი ნახევრის გეგმა მთელმა მრეწველობამ შეასრულა 100,9 პროცენტით, აქედან რესპუბლიკურმა მრეწველობამ — 100,7 პროცენტით.

განუწყვეტელი აღმავლობის გზით მიემართება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. ყოველდღიურად დიდდება ფართო მოხმარების საქონლის წარმოება. წარმატებით სრულდება პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანები სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის დარგში. სულ უფრო და უფრო უმჯობესდება მშრომელთა ფართო მასების მატერიალური კეთილდღეობა და განუხრელად მაღლდება მათი კულტურის დონე.

ქართველი ხალხი კმაყოფილების გრძნობით შეხვდება რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა მიერ წლის პირველ ნახევარში მოპოვებულ წარმატებებს. მართლაც სასიხარულოა, რომ ჩვენმა მრეწველობამ 1954 წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოუშვა მარგანეცის მადანი, ქვანახშირი, ნავთობი, მთლიანნაგლინი მილები, კულტივატორები, შიფერი, მცენარეული ზეთები, კონსერვები, ჩაი, საპონი და ფართო მოხმარების სხვა საგნები.

მაგრამ რესპუბლიკის ყველა საწარმომ, მრეწველობის მთელმა რიგმა დარგებმა როდი გამოიყენეს ხელსაყრელი პირობები ასორტიმენტის წარმოების ზრდისა და გაფართოებისათვის. როგორც სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან ჩანს, ხორცისა და რძის პროდუქტების სამინისტროს, ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს, სატყეო მრეწველობის სამინისტროს და საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა ვერ შეასრულეს სახელმწიფო გეგმები.

ფაქტია, რომ ზოგიერთ საწარმოთა ხელმძღვანელები სჯერდებიან საშუალო მაჩვენებლებს და ნაკლებად იბრძვიან იმისათვის, რომ აუცილებლად სრულდებოდეს სახელმწიფო დავალება ყველა სახეობის პროდუქციის, გეგმით გათვალისწინებული მთელი ნომენკლატურის მიხედვით. როგორც საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან ჩანს, თუმცა მსხვილი სამრეწველო საწარმოებისა და ტრესტების უმრავლესობამ შეასრულა საერთო პროდუქციის და ნატურით უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა, მაგრამ ზოგიერთი სახეობის სამრეწველო პროდუქციის დავალება არ შესრულებულა. მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხანას და თბილისის პლასტმასის ქარხანას არ შეუსრულებიათ ზოგიერთ სახეობათა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმა. ამ მხრივ ჩამორჩენილთა რიგებში არიან ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი, ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხანა „მაღაროელი", თბილისის თუჯისა და ფოლადის სამსხმელო ქარხანა, გორის ბამბეულის კომბინატი, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი და ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნები, ტრესტი „საქართველოს ჩაი", ბათუმისა და თბილისის ფანერის ქარხნები, კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა და სხვ.

სამინისტროებისა და ტრესტების ხელმძღვანელთა, საწარმოთა დირექტორების, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა ბოლო მოუღონ საწარმოთა ჩამორჩენას, მაქსიმალურად გამოიყენონ წარმოების უდიდესი რეზერვები და მიაღწიონ იმას, რომ თვითეული შახტი, მაღარო, ფაბრიკა და ქარხანა არა მარტო ასრულებდეს, არამედ გადაჭარბებითაც ასრულებდეს ყოველდღიურ, ყოველთვიურ დავალებას. ამ მიზნით საჭიროა ფართოდ გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება, სანიმუშოდ მოეწყოს მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელება, ქმედითი დახმარება გაეწიოს ყველა ჩამორჩენილ საწარმოს, საამქროსა და ბრიგადას.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეგლეხობა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დაუღალავად იბრძვიან სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა წარმატებით განსახორციელებლად. საქართველოს კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს უფრო ორგანიზებულად ჩაატარეს საგაზაფხულო თესვა და ნათესების მოვლა, ვიდრე შარშან. წელს კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო კულტურები დათესეს 9,7 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე 1953 წლის გაზაფხულზე. გადაჭარბებით შესრულდა თავთავიანი მარცვლეული კულტურების, მათ შორის ხორბლის თესვის გეგმა. მიმდინარე წლის გაზაფხულზე ფართოდ იქნა შემოღებული სათოხნი კულტურების თესვის კვადრატულ-ბუდობრივი და კვადრატული მეთოდი.

კოლმეურნეობებმა შარშანდელზე მეტი დარგეს თამბაქო, კარტოფილი, დათესეს ბოსტნეული. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგში მაინც გრძელდებოდა ჩამორჩენა.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა აღჭურვილია შესანიშნავი პირველხარისხოვანი ტექნიკით. მტს-ები დღითიდღე აძლიერებენ ყველა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას. ამოცანა ის არის, რომ ეს საუცხოო პირობა მაქსიმალურად გამოვიყენოთ და კიდევ უფრო გავადიდოთ ყველა კულტურის მოსავლიანობა, ავამაღლოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა, გავზარდოთ თვითეული შრომადღის ხვედრი. ამ საქმეში ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკებს ძვირფას დახმარებას გაუწევს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც 1 აგვისტოს გაიხსნა მოსკოვში. ახლა ამ გამოფენის შესანიშნავ ექსპონატებს ეცნობა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მრავალი მოწინავე — გამოფენის მონაწილე და ექსკურსანტი. ამოცანა ის არის, რომ მათ მიერ გამოფენაზე ნახული და შეძენილი ცოდნა ფართოდ განვაზოგადოთ, მოწინავეთა გამოცდილება დავნერგოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგში და ამით მივაღწიოთ საერთო აღმავლობას.

გასულ ნახევარ წელში ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, გრძელდებოდა მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის ზრდა, დიდდებოდა კოლმეურნეთა შემოსავალი. დროის ამ მონაკვეთში ფართოდ განვითარდა საბჭოთა ვაჭრობაც. მოსახლეობას გაცილებით მეტი სამრეწველო და სასურსათო საქონელი მიეყიდა, ვიდრე გასულ წელს. გაფართოვდა ბინების, სკოლების, სამედიცინო დაწესებულებათა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა, გაიზარდა საავადმყოფოების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების ქსელი, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და პიონერთა ბანაკებში სულ უფრო მატულობს დამსვენებელთა რიცხვი.

ყველაფერი ეს გმირული შრომით მოპოვებულ იმ წარმატებათა შედეგია, რასაც საბჭოთა ადამიანები ყოველდღიურად აღწევენ მშობლიური კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით, მისი მებრძოლი შტაბის — ცენტრალური კომიტეტის ნაცადი ხელმძღვანელობით.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები შემდეგშიც დაუღალავად იბრძოლებენ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი ზრდისათვის.

ენისეისა და ბაღდიაურის მტს-ებმა მოსავლის აღების გეგმა შეასრულეს

ყვარლის რაიონის ენისლის მტს-მა 28 ივლისისათვის 101 პროცენტით შეასრულა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების გეგმა. მოსავლის აღებაში თავი ისახელა კომბაინერმა ბ. ბერიაშვილმა, რომელმაც მომკა 433,5 ჰექტარი ნაცვლად სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი 300 ჰექტარისა.

ბადიაურის მტს-მა 30 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულა პურეულის აღების გეგმა, მომკა 7.841 ჰექტარი ნაცვლად 7.427 ჰექტარისა. კომბაინერმა ს. ოგანეზოვმა პურეული აიღო 380 ჰექტარზე და გალეწა 7.500 ცენტნერი მარცვლეული.

კომბაინერები პურეულს გეგმის გადამეტებით მკიან.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1954 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარება, კაპიტალური მშენებლობა და საქონელბრუნვა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1954 წლის I ნახევარში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

მრეწველობა

I.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების 1954 წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია 100,9 პროცენტით, აქედან საკავშირო მრეწველობისა — 101 პროცენტით, რესპუბლიკურისა—100,7 პროცენტით.

1954 წლის პირველ ნახევარში მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება რესპუბლიკაში 1953 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 12 პროცენტით, აქედან საკავშირო მრეწველობისა—15 პროცენტით, რესპუბლიკურისა—11 პროცენტით.

1954 წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოშვებულია მარგანეცის მადანი, ქვანახშირი, ნავთობი, მთლიანნაგლინი მილები, კულტივატორები, შიფერი, მცენარეული ზეთები, კონსერვები, ჩაი (პირველადი დამუშავება), შამპანური, კონიაკები და საპონი.

II.

საქართველოს სსრ ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიერ მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების 1954 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1954 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი
სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო	105
აქედან:	
რესპუბლიკური მრეწველობა	105
რაიონული მრეწველობა	119
ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო	73
ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო	99
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	93
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	85
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	106
აქედან:	
რესპუბლიკური მრეწველობა	108
რაიონული მრეწველობა	105
საქართველოს სარეწაო საბჭო	103

საერთო პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულებისას სასურსათო საქონლის მრეწველობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა და საქართველოს სარეწაო საბჭომ ვერ შეასრულეს ზოგიერთი სახეობის პროდუქციის ნატურით გამოხატული წარმოების ნახევარი წლის გეგმა.

მიუხედავად იმისა, რომ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა საერთო პროდუქციის გამოშვება, ქვანახშირის, სატყეო, მსუბუქ, კვების, ადგილობრივ რაიონულ მრეწველობაში, საქართველოს სარეწაო საბჭოს სისტემაში, აგრეთვე სხვა დარგებში ჯერ კიდევ არის ისეთი საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ სახელმწიფო გეგმას.

III.

უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1954 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი
მარგანეცის სასაქონლო მადანი	102
ქვანახშირი	101
ნავთობი	123
ფოლადი	94
ნაგლინი	99,4
მთლიანნაგლინი მილები	109
ელექტროენერგია	99,4
სატვირთო ავტომობილები	88
ლითონსაჭრელი ჩარხები	93
საქსოვი დაზგები	100,3
კულტივატორები	101
მოწყობილობა ჩაის მრეწველობისათვის:	
ჩაის სახმობი ღუმელები	100,0
საჭკნობი აგრეგატები	100,0
მოწყობილობა ღვინის მრეწველობისათვის:	
ჰიდრავლიკური წნეხები	100,0
ჰორიზონტალური ტუმბოები 5-11	100,0
ცემენტი	88
შიფერი	106
აგური	85
აქედან საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	83
კრამიტი	54
აქედან საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	16
კირი	97
აქედან საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	95
დახერხილი ხე-ტყის მასალა	96
აქედან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტრო	84
სამასალე მერქნის გამოზიდვა	72
აქედან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტრო	58
შეშის გამოზიდვა	114
აქედან საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტრო	113
ქაღალდი	86
მოსწავლეთა რვეულები	98
ბამბა	107
ბამბის ქსოვილები	93
შალის ქსოვილები	100,1
აქედან საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო	103
აბრეშუმის ქსოვილები	97
აქედან საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო	98
წინდის ნაწარმი	100,1
ტრიკოტაჟის საცვლები	82
ზედა ტრიკოტაჟი	102
ფეხსაცმელი	96
მაგარი ტყავის საქონელი	85
აქედან საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო	86
რბილი ტყავის საქონელი	96
აქედან საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო	97
პიანინოები და როიალები	100,9
სამშენებლო ლურსმანი	89
საწოლები	100,8
ნავთქურები	109
მომინანქრებული ჭურჭელი	100,0
თევზის ჭერა	53
თევზის პროდუქტები	71
ერბო-კარაქი	72
მარგარინის ნაწარმი	100,6
მცენარეული საქმელი ზეთი (საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო)	110
ყველი	82
ხორცი	77
ძეხვეული (საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო)	66
კონსერვები	122
საკონდიტრო ნაწარმი (საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო)	104
მაკარონეს ნაწარმი	98
ჩაი—პირველადი დამუშავება	115
ჩაი მზა დაფასოვებული	98
კონიაკი	121
ყურძნის ღვინო (საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო)	101
შამპანური	107
მინერალური წყლები	104
პაპიროსი (საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო)	97
საპონი (საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო)	103

იმ დარგებთან ერთად, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს უშვებენ, ამ საქონლის წარმოება მნიშვნელოვნად გადიდდა მძიმე მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის საწარმოებში, რომლებიც, გარდა ძირითადი პროდუქციისა, უშვებენ ავეჯს, თუჯის ღუმელებს და ღუმელის სხმულს, საოჯახო ინსტრუმენტს, გალანტერიას, სათამაშოებსა და ფართო მოხმარების სხვა საგნებს. ამ მხრივ ჩამორჩებიან ქუთაისის საავტომობილო ქარხანა და თბილისის პლასტმასის ქარხანა, რომლებიც ვერ ასრულებენ ზოგიერთ სახეობათა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმას.

IV.

მსხვილი სამრეწველო საწარმოებისა და ტრესტების უმრავლესობამ შეასრულა საერთო პროდუქციის და ნატურით უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის ნახევარი წლის გეგმა.

საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებასთან ერთად ვერ უზრუნველყვეს ზოგიერთ სახეობათა პროდუქციის ან ასორტიმენტის გეგმის შესრულება შემდეგმა საწარმოებმა და ტრესტებმა:

საკავშირო მრეწველობაში:

ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტმა, ქუთაისის მანქანათმშენებელმა ქარხანა „მაღაროელმა", ტრესტმა „საქნავთობდამამძიმებელმა", თბილისის თუჯისა და ფოლადის სამსხმელო ქარხანამ, გორის ბამბეულის კომბინატმა, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ, ლოკომოტივშემკეთებელმა ქარხანამ.

რესპუბლიკურ მრეწველობაში:

ტრესტმა „საქართველოს ჩაამ", საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის ტრესტმა, ბათუმის ფანერის ქარხანამ, თბილისის ფანერის ქარხანამ, სურამის კირის ქარხანამ, კალინინის სახელობის მექანიკურმა ქარხანამ, ლითონის კონსტრუქციების ქარხანამ.

ვერ შეასრულეს საერთო პროდუქციისა და ნატურალური გამოხატულებით პროდუქციის გამოშვების გეგმა:

საკავშირო მრეწველობაში:

	საერთო პროდუქციის 1954 წლის I ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი
ახალციხის ქვანახშირის ტრესტი	99,3
ჩითახევჰესი	98
ფეხსაცმლის მრეწველობის მთავარი სამმართველოს ფეხსაცმლის ფაბრიკა	97
სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა	96
ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ჰიდროელექტროსადგური	96
პლასტმასის ქარხანა	96
კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა	96
თბილისის თბოელექტროცენტრალი	95
ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი	94
ფერროშენადნობთა ქარხანა	92
სოხუმჰესი	92
საქართველოს ცემენტის ქარხანა	92
ქუთაისის საავტომობილო ქარხანა	91
საქართველოს თევზის ტრესტი	87
ტრესტი „კავნერუდი"	85
ლატოპონის ქარხანა	84
ენგურის ქაღალდის კომბინატი	81
თბილისის კერამიკული კომბინატი	74

რესპუბლიკურ მრეწველობაში:

საქართველოს ლუდისა და ლიმონათის ტრესტი	99,7
საქპურტრესტი	99
სამტრედიის აგურის ქარხანა	98
საქართველოს სამკერვალო მრეწველობის ტრესტი	97
საქართველოს თამბაქოს ტრესტი	96
საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის ტრესტი	96
საქართველოს ხე-ტყის ტრესტი	95
საქართველოს ხე-ტყის დამზადების ტრესტი	89
მეტეხის აგურის ქარხანა	84
ცეცხლგამძლე ნაკეთობათა ქარხანა „შროშა"	83
ცხაკაიას კირის ქარხანა	82
საქართველოს ყველ-ერბო-კარაქის მრეწველობის ტრესტი	73
საქართველოს ხორცის მრეწველობის ტრესტი	72
ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანა	51

სოფლის მეურნეობა

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო კულტურები დათესეს 9,7 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე 1953 წლის გაზაფხულზე, მაგრამ თესვის გეგმა შესრულებული არ არის. გადაჭარბებით შესრულდა თავთავიანი მარცვლეული კულტურების, მათ შორის ხორბლის თესვის გეგმა. სიმინდისა და მრავალწლიანი ბალახების თესვის გეგმა არ შესრულებულა.

შარშანდელზე მეტი დაიერგო თამბაქო, კარტოფილი და ბოსტნეული. ერთწლიანი ბალახები, საკვები ძირხვენები და სასილოსე კულტურები დათესილია 49 პროცენტით მეტი.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა გამოიყენეს სათოხნი კულტურების, კერძოდ სიმინდის, მზესუმზირას, კარტოფილისა და ბოსტნეულის თესვისა და რგვის კვადრატულ-ბუდობრივი და კვადრატული მეთოდი.

გადაჭარბებით შესრულდა ანეულის ხვნის გეგმა.

სათოხნი კულტურების კულტივაცია მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა განახორციელეს ერთიორად მეტ ფართობზე, ვიდრე შარშან იმავე თარიღისათვის; მაგრამ გეგმა არ არის შესრულებული.

საკოლმეურნეო მინდვრებში მიმდინარეობს თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება. თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების გეგმის შესრულების პროცენტი შარშანდელზე მაღალია.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მოცულობა, რომლებიც მიმდინარე წელს შეასრულეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა, შარშანდელზე 11 პროცენტით მეტია.

ჩაის პლანტაციებში გაჩაღდა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა; ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი ჩამორჩება გასული წლის დონეს.

ვენახის გაშენების გეგმა შესრულებულია. ვერ შესრულდა ჩაის პლანტაციების, ხეხილის ბაღებისა და ციტრუსოვანთა ნარგავების გაშენების გეგმა.

კოლმეურნეობებში წარმატებით განხორციელდა ბოსტნეულის მოსაყვანად სასათბურო ჩარჩოების მშენებლობის სამუშაოები — გეგმა შესრულდა ერთიორად და მეტად. ამავე დროს ვერ შესრულდა თამბაქოს ჩითილისათვის სასათბურო ჩარჩოების მშენებლობის გეგმა.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარე წელს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები უფრო ორგანიზებულად შესრულდა. გადაჭარბებით შესრულდა საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა. ფართოდ იყო შემოღებული პრაქტიკაში ბოსტნეულის ჩითილის გამოყვანა ტორფნაშომალის კუბაკებში.

კაპიტალური მშენებლობა

კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფო გეგმა 1954 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკამ შეასრულა 82 პროცენტით. აქედან საკავშირო დაქვემდე-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1954 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული)

ბარების მშენებლობებმა—84 პროცენტით, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების მშენებლობებმა—79 პროცენტით.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა 1954 წლის პირველ ნახევარში კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა შეასრულეს:

	1954 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი
სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ	96
ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრომ	74
ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრომ	102
სატყეო მრეწველობის სამინისტრომ	70
სამშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ	104
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ	100,5
სოფლის მეურნეობის სამინისტრომ	60
წყალთა მეურნეობის სამინისტრომ	63
საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ	73
საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტრომ	82
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ	96
ვაჭრობის სამინისტრომ	99
განათლების სამინისტრომ	57
კულტურის სამინისტრომ	72
საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრომ	132
კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ	67
აქედან:	
ადგილობრივი საბჭოების ბინებისა და სასტუმროების მშენებლობამ	55
კომუნალურმა მშენებლობამ	75
ადმინისტრაციული შენობების მშენებლობამ	39

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა საბინაო მშენებლობაში 7 პროცენტით, სკოლების მშენებლობაში — 48 პროცენტით.

არის ჩამორჩენა საბინაო მშენებლობისა და სკოლების მშენებლობის გეგმის შესრულებაში.

ᲖᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ამიერკავკასიის რკინიგზამ 1954 წლის პირველი ნახევრის საშუალო სადღეღამისო დატვირთვის გეგმა შეასრულა 101 პროცენტით, აქედან პურის ტვირთისა—109 პროცენტით, შაქრისა—180 პროცენტით, მარილისა—133 პროცენტით, ნავთობპროდუქტებისა — 108 პროცენტით, მინერალურ-სამშენებლო მასალებისა—105 პროცენტით, ქსოვილისა—108 პროცენტით, ყოველგვარი ფეხსაცმლისა—100,0 პროცენტით. არ შესრულებულა ქვანახშირის, მარგანეცის მადნის, ცემენტის, ტრიკოტაჟის დატვირთვის გეგმა. 1953 წლის პირველ ნახევართან შედარებით საშუალო სადღეღამისო დატვირთვა გადიდდა 1,3 პროცენტით.

საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვის გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით. საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვამ 1953 წლის პირველი ნახევრის დონეს გადააჭარბა 7 პროცენტით.

ტვირთების გადაზიდვის გეგმა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტრომ 1954 წლის პირველ ნახევარში გადაჭარბებით შეასრულა.

ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲑᲠᲣᲜᲕᲐ

მთელი საცალო საქონელბრუნვის გეგმა 1954 წლის პირველ ნახევარში შესრულებულია 99,7 პროცენტით; აქედან საცალო ვაჭრობის ქსელის საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით, საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმა—97 პროცენტით.

საცალო საქონელბრუნვის გეგმა ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებმა მთლიანად შეასრულეს 98 პროცენტით, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებმა—101 პროცენტით, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებმა—97 პროცენტით.

სამომხმარებლო კოოპერაციამ საცალო საქონელბრუნვის გეგმა შეასრულა 105 პროცენტით, აქედან საცალო ვაჭრობის ქსელის საქონელბრუნვის გეგმა — 107 პროცენტით, საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმა — 95 პროცენტით.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქალაქო და სასოფლო მშენებლობის გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგენილი შექმნა სსრ კავშირის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.

სსრ კავშირის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დაეკისრა: ქალაქებში საცხოვრებელი შენობების, სკოლების, საავადმყოფოებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივ შენობათა, კომუნალურ საწარმოთა და ნაგებობათა მშენებლობა და მათი დაპროექტება; სოფელ ადგილებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო ქარხნების, სასოფლო ელექტროსადგურების, სკოლების, საავადმყოფოების და სხვა სახელმწიფო კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივ შენობათა და ნაგებობათა მშენებლობა და მათი დაპროექტება; მშენებლობაში კოლმეურნეობებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ მიიჩნია რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, მოლდავეთის სსრ, ლატვიის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, სომხეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, ესტონეთის სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროები, ლიტვის სსრ მშენებლობის სამინისტრო გარდაიქმნას სათანადო რესპუბლიკების საქალაქო და სასოფლო მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებად და შეიქმნას ყირგიზეთის სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.

სსრ კავშირის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გადაეცა მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროების, ლიტვის სსრ მშენებლობის სამინისტროს, ყირგიზეთის სსრ კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული კოლმეურნეობებში მშენებლობის მთავარი სამმართველოების ორგანიზაციები და საწარმოები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის თანახმად.

სსრ კავშირის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრად დაინიშნა ამხ. ივანე კორნელის-ძე **კოზიულია.**

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგენილი შექმნა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის საერთო საკავშირო სამინისტრო (ტრანსმშენსამინისტრო) სსრ კავშირის გზათა სამინისტროს და სსრ კავშირის საზღვაო და სამდინარო ფლოტის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოების ბაზაზე.

სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს გადაეცა სამშენებლო ორგანიზაციები და საწარმოები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის თანახმად.

სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრად დაინიშნა ამხ. ევგენი თეოდორეს-ძე **კოუევნიკოვი.**

თვითეული სამრეწველო და სავაჭრო საწარმოს სანიმუშო მუშაობისათვის

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

ამ დღეებში გაიმართა თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. იგი მიეძღვნა თბილისის სამრეწველო საწარმოებისა და სავაჭრო ორგანიზაციების 1954 წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგებს და პარტიული ორგანიზაციების შემდგომ ამოცანებს. მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. სეხნიაშვილმა.

წლის პირველი ნახევრის შედეგები, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მოწმობს იმას, რომ საქართველოს დედაქალაქის საწარმოთა კოლექტივები მტკიცე ბრძოლას ეწევიან პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის. საერთო პროდუქციის გამოშვების საწარმოო გეგმა ქალაქის მრეწველობამ 102,6 პროცენტით შეასრულა. გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით საერთო პროდუქციის გამოშვების ზრდა 16,8 პროცენტს შეადგენს. განსაკუთრებით გაიზარდა ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება, ზრდა შეადგენს 22 პროცენტს.

ბევრმა საწარმომ შრომის მაღალი ნაყოფიერებისა და შინაარეზერვების უკეთ გამოყენებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების საფუძველზე ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. მოწინავეთა შორის არიან ავტოსარემონტო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნები, 26 კომისრის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნები, შამპანური ღვინოების ქარხანა და სხვ.

მაგრამ ქალაქის მრეწველობის მუშაობის შედეგები გაცილებით უფრო კარგი იქნებოდა, მთელი რიგი საწარმოები რომ არ ჩამორჩებოდნენ. სტატისტიკური სამმართველოს აღრიცხვაზე მყოფი 146 სამრეწველო საწარმოდან 27-ს ნახევარი წლის გეგმა არ შეუსრულებია. მათ შორის არიან ისეთი საწარმოები, რომლებიც სისტემატურად ჩამორჩებიან: რძის კომბინატი, კერამიკული კომბინატი, ტყავის № 1 ქარხანა, მარმარილოს დამმუშავებელი ქარხანა, ლიანდაგშემკეთებელ-მექანიკური ქარხანა, „გლავობუვის“ ფაბრიკა და სხვ.

ამ საწარმოთა ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ არადამაკმაყოფილებელია წარმოების ორგანიზაცია, არ იბრძვიან შინარეზერვების გამოყენებისათვის. ამ მხრივ დამახასიათებელი იყო თამბაქოს № 1 ფაბრიკა, სადაც პარტიის საქალაქო კომიტეტმა წარმოების სრული ჩაშლა გამოავლინა. ფაბრიკის ყოფილი დირექტორის წიკლაურისა და ყოფილი მთავარი ინჟინრის ლომაძის, აგრეთვე პარტიული ორგანიზაციის ყოფილი მდივნის სააკიანის უმოქმედობის შედეგი იყო გეგმების შესრულების სისტემატური ჩაშლა, ტექნოლოგიური რეჟიმის უხეში დარღვევა, წუნი, ზარალი, თვალისახვევა. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა იმის შედეგად, რომ სრულიად არადამაკმაყოფილებელი იყო პარტიულ-პოლიტიკური და მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა, არ იყო კრიტიკა და თვითკრიტიკა. დამახასიათებელია, რომ ხელმძღვანელობის შეცვლის თითქმის მეორე დღიდანვე ფაბრიკამ იწყო საწარმოო დავალებათა შესრულება.

მომხსენებელმა სავსებით სამართლიანი კრიტიკული შენიშვნა გააკეთა საქართველოს თამბაქოს ტრესტისა და საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს მიმართ, აგრეთვე პარტიის სტალინის რაიკომის მიმართ, რომლის წარმომადგენლებიც საკმაოდ ხშირად იყვნენ ხოლმე ამ საწარმოში და ვერ ამჩნევდნენ იქ შექმნილ შეუწყნარებელ მდგომარეობას.

ილაპარაკა რა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაზე, მომხსენებელი განსაკუთრებით შეეხო ქალაქის საფეიქრო და სამკერვალო საწარმოთა მუშაობას. აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვების დავალება წლის პირველ ნახევარში არ შესრულებულა. პროდუქციის ხარისხის დარგში მუშაობის მაჩვენებლები გააუარესა აგრეთვე კამვოლმაუდის კომბინატმა: მან ვერ დაიცვა ქსოვილების გამოშვების დადგენილი ასორტიმენტი, ვერ შეასრულა ქსოვილების ხარისხისა და შეფერადების გეგმა, რისთვისაც მას მილიონ მანეთზე მეტი თანხის პრეტენზიები წაუყენეს. სამკერვალო ფაბრიკები არღვევენ დადგენილ ასორტიმენტს, სამაღლისა და ზამის შკალას, დავალებებს ხარისხის დარგში.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს სარეწაო კოოპერაციაც, რომლის არტელებში გამეფებულია ტექნიკური ჩამორჩენილობა და წარმოების დაბალი კულტურა. სარეწაო არტელების პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად ახორციელებენ კონტროლს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, ხოლო პარტიის რაიკომები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ არტელების მუშაობას და ცუდად ეხმარებიან მათს პარტიულ ორგანიზაციებს.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა წარმოების რეზერვების უკეთ გამოყენების, პირველ რიგში შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხებმა. შოკოლადის ფაბრიკაში, კუიბიშევის სახელობის ხისდამმუშავებელ ქარხანაში, ფანერის ქარხანაში, სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკაში და სხვა საწარმოებში მუშების ნაწილი, წარმოების ორგანიზაციის ნაკლოვანებათა გამო, გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებს.

მომხსენებელმა ანალიზი გაუკეთა აგრეთვე მარმარილოს დამმუშავებელი ქარხნის, მაცივარკომბინატისა და სხვა საწარმოების მუშაობას, რომლებმაც დაუშვეს პროდუქციის თვითღირებულების გაძვირება. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამეურნეო წლის მეორე ნახევარში საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მთავარი ამოცანა უნდა გახდეს ბრძოლა წარმოების უმდიდრესი რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის, ჩამორჩენილი საწარმოების მოწინავეთა დონემდე აყვანისათვის.

ეს ამოცანა დგას სავაჭრო ორგანიზაციების წინაშეც. წლის პირველ ნახევარში თბილისმა მიიღო 50 ახალი სავაჭრო ობიექტი. მათ შორის 23 მაღაზია, 18 ფარდული და პავილიონი, 9 კაფე და სასაუზმე. საქონელბრუნვა მნიშვნელოვნად გადიდდა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით. ვაჭრობის მუშაკთა შორის ჩაღდება შეჯიბრება მყიდველთა მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის. მაგრამ სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში მაინც ნაკლია. საქონელბრუნვის წლის პირველი ნახევრის გეგმა ქალაქში არ შესრულებულა. განსაკუთრებით ცუდად მუშაობდნენ „გლავვასტრონომი“, რესტორანების ტრესტი, მარჯვენა ნაპირის კვებავაჭრობა, სასადილოების № 1 ტრესტი. მთლიანად ჩაშლილი იყო თბილხილბოსტანვაჭრობის მუშაობა. ახლა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ მიღებულ ღონისძიებათა მეოხებით, ბოსტნეულისა და ხილის შემოტანისა და ვაჭრობის საქმე სწორდება. ამოცანა ის არის, რომ ეებრძოდეთ კომპანიურობას და განუწყვეტლივ წინ ვწევდეთ ამ საქმეს.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა თბილისის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების უმნიშვნელოვანესი უბნების მუშაობაზე, საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის, სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე. მან აღნიშნა, რომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, საქალაქო აღმასკომი და რაისაბჭოები, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და მისი სავაჭრო სამმართველოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ვაჭრობის მუშაკების კადრების შერჩევასა და განაწილებას, სათანადო პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას არ ეწევიან ვაჭრობის მუშაკთა შორის, ხშირად ურიგდებიან შეუმოწმებელი და არაკეთილსინდისიერი ადამიანების გაძვრომას სავაჭრო სისტემაში. „იუველირტორგის“ № 2 მაღაზიის ყოფილი დირექტორი კორინთელი, რომელიც ამჟამად მსჯავრდადებულია, სპეკულანტ გეურქოვისაგან იძენდა სხვადასხვა საიუველირო ნაკეთობებს და ჰყიდდა მათ. მარცხენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის № 115 მაღაზიის ყოფილმა დირექტორმა ნაკაიძემ, რომელიც ამჟამად აგრეთვე მსჯავრდადებულია, მაღაზიის გამყიდველს კილადეს დაავალა ლუდის გაყიდვით შემოსული ფულიდან ყოველდღიურად ეძლია მისთვის 60 მანეთი, ხოლო ზაფხულობით — 100 მანეთი. ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ერთეული როდია.

შეეხო რა სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანების ამოცანებს საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს მათი როლი ხულიგნობის წინააღმდეგ და სანიტარული რეჟიმის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაშიც. ამოცანა აგრეთვე ის არის, რომ ქალაქის მთელი საზოგადოებრიობა ჩაებას ამ დიდ და მნიშვნელოვან საქმეში. ამორალური ხასიათის ფაქტების, სპეკულაციის, ანგარიშში და ზომა-წონაში მოტყუების ფაქტები მით უფრო ნაკლები იქნება, რაც უფრო აქტიურად იბრძოლებს ამის წინააღმდეგ თვითეული მშრომელი და პირველ რიგში კომუნისტები და კომკავშირელები. სინამდვილეში ჯერ კიდევ ცოტა როდი არიან ადამიანები, ხშირად პარტიის წევრები და კომკავშირელები, რომლებიც არსებითად ხელს უწყობენ სპეკულაციურ ელემენტებს, სამმაგ ფასებში ყიდულობენ რა მათგან საქონელს, ნაცვლად იმისა, რომ აქტიურად ამხილონ და დაადაკვონ ეს დამნაშავეები.

— პარტიის საქალაქო კომიტეტი, ქალაქის მთელი პარტიული აქტივის დახმარებით, — თქვა დასასრულ მომხსენებელმა, — მოვალეა ჯერ კიდევ უფრო მტკიცედ იბრძოლოს სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა მუშაობის ნაკლოვანებების წინააღმდეგ, პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული დიდი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

პარტიული აქტივის კრებამ ცხოველი ნონაწილეობა მიიღო ქალაქის სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა მუშაობის ძირეული საკითხების განხილვაში.

ლენინის რაიონში, მიუხედავად იმისა, რომ გეგმა საერთოდ გადაჭარბებით არის შესრულებული, მთელი რიგი საწარმოები ჩამორჩენილი არიან, დავალიანება აქვთ სახელმწიფოს წინაშე. ესენი არიან კიროვის სახელობის ქარხანა, მარმარილოს დამმუშავებელი, პლასტმასის და სხვა ქარხნები. პარტიის რაიკომის მდივანმა კ. გოგლიძემ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება ჩამორჩენილი საწარმოების წინ წამოსაწევად და პირობა მისცა აქტივს, რომ წლის დამლევამდე მთელი დავალიანება ლიკვიდირებულ იქნება. პირველ კვარტალში შექმნილი დავალიანების დაფარვის ანგარიშში, როგორც თავის სიტყვაში განაცხადა კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ლ. გოგიჩაძემ, უკვე გამოშვებულია 72 ჩარხი.

თამბაქოს № 1 ფაბრიკის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. იმნაძემ ილაპარაკა საწარმოებში მუშაობის გარდაქმნის პირველ შედეგებზე. ივლისის გეგმა ფაბრიკამ გადაჭარბებით შეასრულა, და მისი კოლექტივი აძლიერებს ბრძოლას საწარმოო მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსმა გ. მაცაბერიძემ აღიარა, რომ საწარმოში ჯერ კიდევ ყველა საამქრო როდი მუშაობს რიტმულად, რომ ცალკეულ სახეობათა საქარხნო პროდუქციის თვითღირებულება აღემატება გეგმით გათვალისწინებულს, რომ ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია დანაკარგები წუნის გამო, ლიკვიდირებული არ არის ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევა. ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ და სამეურნეო ხელმძღვანელობამ დასახეს სამეურნეო წლის მეორე ნახევარში საწარმოს მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

საწარმოთა რეზერვების უკეთ გამოყენების საჭიროებაზე და ამ საქმეში პარტიული ორგანიზაციების მამობილიზებელი როლის გაძლიერებაზე ილაპარაკეს სიტყვით გამოსულმა სხვა ამხანაგებმაც. 26 კომისრის რაიკომის მდივანმა ს. ჩხარტიშვილმა თქვა, რომ რაიკომის ბიუროს იწყო ჩამორჩენილ საწარმოთა მუშაობის უფრო ხშირად განხილვა. ის ფაქტი, რომ რაიკომმა ამ ცოტა ხნის წინათ შეასუსტა ყურადღება № 1 საკონდიტრო ფაბრიკის, მექანიკური ქარხნისა და № 2 მექანიზებული პურის საცხობის მუშაობისადმი, რამაც გამოიწვია სერიოზული ნაკლოვანებანი ამ საწარმოთა საქმიანობაში, სერიოზული გაკვეთილი გახდა. ახლა რაიონული პარტიული ორგანიზაცია იმისათვის იბრძვის, რომ რაიონში არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო არ იყოს.

ქალაქის მილიციისა და პროკურატურის მუშაობის საკითხებზე შეჩერდნენ თავიანთ სიტყვებში მილიციის საქალაქო სამმართველოს უფროსი გ. ჭელიძე და ქალაქის პროკურორი ვ. ხმალაძე.

საქართველოს სარეწაო საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ მ. ჩხეიძემ სწორად ცნო სარეწაო კოოპერაციის მუშაობის კრიტიკა და ილაპარაკა ზოგიერთ ღონისძიებაზე, რომლებიც ხორციელდება არტელების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრმა ზ. კეცხოველმა მოიყვანა ცხობები იმის შესახებ, რომ სამინისტროს თბილისის საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა, და ილაპარაკა იმაზე, რომ საშუალო ციფრებს ამოფარებული არიან ჩამორჩენილი ქარხნები და ფაბრიკები.

აქტივის კრებაზე დაწვრილებით ილაპარაკეს სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის შესახებ და, კერძოდ, სამრეწველო საწარმოთა საქმიანობაზე მათი გავლენის გაძლიერების შესახებ. მარცხენა ნაპირის კვებავაჭრობის დირექტორმა ი. გეთაშვილმა აღნიშნა, რომ წლის პირველ ნახევარში ვაჭრობის მუშაკებს ყველა შესაძლებლობა არ გამოუყენებიათ საქონელბრუნვის გაშლისათვის, და ანგარიში წაუყენა რძის კომბინატს, მაკარონის ფაბრიკასა და ჩაის გადამწონ ფაბრიკას, რომლებიც პროდუქციას საჭირო ასორტიმენტით არ უშვებენ.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ი. კოჭლამაზაშვილმა სამომხმარებლო მოთხოვნილების შესწავლის მასალებზე დაყრდნობით გააკრიტიკა მუშაობა მთელი რიგი სამრეწველო სამინისტროებისა და მათი საწარმოებისა, აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციებისა, რომლებიც შემარიგებლურად ეკიდებიან უსტანდარტო, დაბალი ხარისხის პროდუქციის მიღებას. მაგალითად, ვაჭრობის სამინისტრო იძულებული გახდა აეკრძალა გასაყიდად მიღება № 7 სამკერვალო ფაბრიკის ნაწარმისა — კიტელებისა და მამაკაცის ზედა პერანგებისა, რომლებიც დაუდევრად იყო შეკერილი და გარეცხვის შემდეგ ძლიერ კლებულობდა. საჭიროა აგრეთვე წესრიგისაკენ მოვუწოდოთ საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს იმ საწარმოთა ზოგიერთ დაუდევარ მუშაკს, რომლებიც უშვებენ არაკეთილხარისხოვნად გამომცხვარ პურს და ცუდად დამზადებულ საკონდიტრო ნაწარმს. ამხ. კოჭლამაზაშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ სერიოზული ნაკლოვანებანი არსებობს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს საქმიანობაში.

უნდა ითქვას, რომ აქტივის კრება კრიტიკისა და თვითკრიტიკის უფრო მაღალ დონეზე უნდა ჩატარებულიყო. მთელ რიგ გამოსვლებში მოცემული უნდა ყოფილიყო მრეწველობისა და ვაჭრობის საწარმოთა მუშაობის, ქალაქის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა უფრო ღრმა ანალიზი.

* * *

პარტიული აქტივის კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც დასახულია სამეურნეო წლის მეორე ნახევარში ქალაქის სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

საბჭოთა მთავრობის განცხადება ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებს: ლაპარაკის მოწვევის შესახებ

ᲑᲘᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

4 აგვისტოს საბჭოთა კავშირის ელჩმა საფრანგეთში ამხ. ს. ა. ვინოგრადოვმა ინახულა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი მენდეს-ფრანსი და, საბჭოთა მთავრობის დავალებით, შემდეგი განცხადება გააკეთა:

„ჟენევის თათბირმა ცხადყო, რომ დაინტერესებულ სახელმწიფოთა მოლაპარაკებას გადაუჭრელ საერთაშორისო პრობლემებზე შეუძლია გამოწვიოს დადებითი შედეგები, რომლებიც შეეფერება საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ, როგორც ცნობილია, წინადადება მისცა საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს უახლოეს თვეებში მოეწვიათ ევროპის ყველა იმ სახელმწიფოს თათბირი, რომლებიც მოისურვებენ მასში მონაწილეობას, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები და მეთვალყურედ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხის განსახილველად. არ შეიძლება დავეჭვდეთ, რომ ასეთ თათბირს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის.

ამასთან ერთად, ითვალისწინებს რა აღნიშნული თათბირის დიდ მნიშვნელობას, საბჭოთა მთავრობას სასარგებლოდ მიაჩნია, რომ საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მთავრობებმა წინასწარი წესით ერთობლივად განიხილონ ასეთი თათბირის მოწვევისა და მისი წარმატების ხელშემწყობ ღონისძიებათა საკითხი. ამ მიზნით საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა დაახლოებით ამა წლის აგვისტო-სექტემბერში მოეწყოს საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი და მხედველობაში, იქნას აგრეთვე მიღებული გერმანიის საკითხის განხილვის განგრძობა.

საბჭოთა მთავრობა ამასთან ანგარიშს უწევს იმ გარემოებასაც, რომ გერმანიის პრობლემის ძირითად საკითხებზე, სახელდობრ გერმანიის ერთიანობის აღდგენისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხზე, დღემდე არ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, რამდენადაც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ შექმნილა ამის ყველა საჭირო პირობა. ასეთ მდგომარეობაში საბჭოთა მთავრობის აზრით, საჭირო იქნებოდა მიგვეღო ახალი ღონისძიებანი, რათა შევთანხმებულიყავით პირველ რიგში გერმანიის პრობლემის ზოგიერთ ცალკეულ საკითხზე, რომლებზეც უკვე ამჟამად შეიძლება გამონახულ იქნას დაინტერესებული მხარეებისათვის მისაღები გადაწყვეტილებანი“.

ანალოგიური განცხადებანი 4 აგვისტოს გაუკეთეს სსრ კავშირის ელჩმა ინგლისში ამხ. ი. ა. მალიკმა ინგლისის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრს ბ-ნ ლოიდს და სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხ. გ. ნ. ზარუბინმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ბ-ნ დალესს. (საკდესი).

წვეულების წლიური გეგმა შეასრულეს

მახარაძე. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ენერგიული მუშაობა გასწიეს სოფელ მელექედურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. წელს გეგმით გათვალისწინებული 382 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ნაცვლად ჰყავთ 425 სული. აქედან 108 საფურაჟე ძროხაა. მათ შორის ჯიშიანია 73. შეიძინეს წითელი ველის ჯიშის 33 ძროხა.

კოლმეურნეობაში მალე დამთავრდება მექანიზებული ფერმის მშენებლობა. იგი გათვალისწინებულია 100 ძროხისათვის. ფერმის ახლოს დათესილია ბალახი 28 ჰექტარზე, მიმდინარეობს სილოსის ჩადება. გაუმჯობესდა ძროხების კვება და მოვლა-პატრონობა, ამის შედეგად წელს გეგმით გათვალისწინებული 800 ლიტრის ნაცვლად თვითეულ საფურაჟე ძროხაზე უკვე მიღებულია 862 ლიტრი რძე. ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ 1 ოქტომბრამდე თვითეული ძროხის წველადობა 1.500 ლიტრამდე აიყვანონ.

ამ წარმატებას დიდად შეუწყეს ხელი ფერმის გამგემ მ. ცხომელიძემ, ბრიგადირებმა ა. ჩიგოგიძემ, ვ. ხინთიბიძემ და რ. თოხაძემ. ცალკეულმა მწველავებმა ბევრად გადაამეტეს წველადობის წლიურ დავალებას. ს. მიქაძემ 7 ძროხიდან საშუალოდ თვითეულზე მოწველა 1.143 ლიტრი რძე, ს. ცხომელიძემ 8 ძროხიდან თვითეულზე უკვე მიიღო 1.706 ლიტრი რძე, ლენა შევცოვამ თვითეულ ძროხაზე მოწველა 1.708 ლიტრი რძე.

დავამყაროთ წესრიგი ნათესების მორწყვის საქმეში

ლაგოდეხის წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველომ ბუნებრივი წყლების ნაწილობრივ სარწყავად გამოყენების მიზნით ერთგვარი სამუშაო ჩაატარა: პატარა არხებში მოაწყეს წყლის გამანაწილებლები, დააწესეს კონტროლი მის გამოყენებაზე, უბნებს გამოცდილი მელიორატორები მიამაგრეს. ყოველწლიურად უმჯობესდება სარწყავი ქსელი, ფართოვდება რწყვის ჰორიზონტი.

სოფელ თელას კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ფ. ხუციშვილი) პატრიოტული ინიციატივა გამოიჩინა. კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობით, სასისტემო სამმართველოს ინჟინერ-ტექნიკოსთა დახმარებით რამდენიმე კილომეტრზე გაჭრეს არხი და საუკუნეობით ურწყავი ადგილები გამოაცოცხლეს.

ცუდად როდია დაყენებული რწყვის საქმე სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“. მაგრამ წელს მიივიწყეს რწყვა და ზოგიერთი მრავალწლიანი ნარგავების მოვლის საქმე სამიშროების წინაშე დააყენეს.

ახლანდელმა ნალექებმა, მართალია, ოდნავ გამოაცოცხლა გადამხმარი სიმინდები, მაგრამ ბევრ ადგილას რწყვაც აღარ შეელის. ეს უფრო შესამჩნევია ლაფნის წყაროს გასწვრივ ნათეს სიმინდებში, ცხადია, კოლმეურნეობა აქ დაბალ მოსავალს მიიღებს. მოურწყავია კოლმეურნეობის თამბაქოს ზოგიერთი პლანტაცია, ვენახები.

აღმაშფოთებელია სოფელ ყარსუბნის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსის ნ. კვინიკაძის და პარტბიუროს მდივნის ა. შუბითიძის საქციელი. ისინი ყალბად იცავდნენ იმ აზრს, რომ 4 ჰექტარი ვენახი, რომელიც უწყლობით გადახმა და დაავადდა, არ მოირწყვებაო. ეს მაშინ, როცა მდინარე შავწყალა გვერდით ჩამოუდის. რა თქმა უნდა, მტს-ის ხელმძღვანელობამაც ნაკლებად შეიწუხა თავი არხის გასაჭრელად და ვენახის მოსარწყავად.

წყლის განაწილება მოუწესრიგებელია. ამაში ბრალი წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოდან შაქრო გულიაშვილს და წყლის აღმრიცხველს მიხეილ შუბითიძეს მიუძღვით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ლაგოდეხის რაიონში არსებული წყლის დიდი მარაგისა, ჯერ კიდევ ნახევარზე მეტი საკოლმეურნეო ფართობი ურწყავია. სრულიად არა აქვთ წყალი აფენის ზონაში.

ნათესი ფართობების, მრავალწლიანი ნარგავების რწყვის საუკეთესო პირობები აქვთ სიღნაღის რაიონის კოლმეურნეებს. ყოველწლიურად იზრდება სარწყავი ფართობი. თუ შარშან კოლმეურნეობები 914 ჰექტარს რწყავდნენ, წელს ეს ფართობი 2.068 ჰექტარამდე გაიზარდა. სამჯერ გადიდდა საკარმიდამო ნაკვეთების რწყვის მასშტაბიც. მაგრამ სიღნაღში რაციონალურად როდი იყენებენ წყლის უხვ მარაგს.

24 წლის განმავლობაში არხის სათავე არ გაწმენდილა. იგი ნალექით აივსო. ალაზნის წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოს ახალი ხელმძღვანელობა პირველ რიგში სათავის გაწმენდას შეუდგა. გეგმით მათ პირველი მაისისათვის უნდა დაეწყოთ რემონტი, მაგრამ რატომღაც გადადეს და 15 მაისისათვის დაიწყეს, სათავის გაწმენდის ვადას კი ხუთი დღით გადააცილეს.

მაგისტრალური არხი ჯერ კიდევ გაუწმენდავია, ბევრგან ნალექით არის სავსე, არხში ხეები გაიზარდა, წყალი ნაპირზე გადმოდის. გუბეებია დამდგარი სოფელ ვაქირის ვენახების თავში.

წნორის მტს-ის სამელიორაციო რაზმის უფროსი — ინჟინერი ბორის კალპაკოვი უფრო მეტ დროს ღვინის სმასა და დროს ტარებას ანდომებს, მივიწყებული აქვს მინდობილი საქმე. მის ზონაში ჩაიშალა მოშანდაგების გეგმის შესრულება. ბ. კალპაკოვი საკოლმეურნეო სარწყავი ფართობების ეშვიათი სტუმარია. ამ ზონაში გაჩიანურდა პირველი რწყვა, კოლმეურნეობები არ იყენებენ წყლის უხვ მარაგს.

სოფელ ანაგის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ ნაცვლად 119 ჰექტარისა პირველი რწყვა 99 ჰექტარზე მოაწყო, ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე რ. ნანობაშვილი) კი — 587 ჰექტარი ფართობიდან 44 ჰექტარზე. ასეთივე მდგომარეობაა წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში.

რწყვა სრულიად მიივიწყეს ტიბაანის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა. 21 ივლისისათვის არცერთ კოლმეურნეობას ნათესები არ ჰქონდა მორწყული, გარდა ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობისა. მტს-ის ზონაში მრავალწლიანი ნარგავები 81 ჰექტარზეა, და წელს ისინი ერთხელაც არ მოურწყავთ.

რწყვის შეფერხების მიზეზი ისიც არის, რომ ნათესი კულტურების და მრავალწლიანი ნარგავების ფართობებზე მოუწყობელია შიდა სამეურნეო ქსელი. ტიბაანის მტს-ის ხელმძღვანელობა სარწყავი ქსელის გადაკეთებას, მის მოვლა-პატრონობას, სარწყავი ფართობის მოშანდაგებას რატომღაც არსებით, მნიშვნელოვან საქმედ არა თვლის. მტს-თან არსებული სამელიორაციო რაზმის ხელმძღვანელები არა სპეციალობის მიხედვით დატვირთეს.

ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. კობაიძე, ამავე კოლმეურნეობის აგრონომი ი. იასეშვილი პატივს არ სცემენ ნათესების მორწყვას. აქ წელს სარწყავი ფართობების უმეტეს ნაწილში ისეთი კულტურები დათესეს, რომლებსაც ნაკლებად ესაჭიროებათ რწყვა. 170 ჰექტარი მზესუმზირიდან სარწყავში მხოლოდ 14 ჰექტარი დათესეს.

ალაზნის წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოს უფროსმა ამხ. გ. სულაძემ არაერთხელ გააცნო ეს მდგომარეობა სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ი. მესხიშვილს, მაგრამ ამ სამარცხვინო ჩამორჩენის საკითხი ჯერ კიდევ არ გამხდარა მსჯელობის საგნად არც აღმასკომში, არც პარტიის სიღნაღის რაიკომში. როდისღა აპირებენ სიღნაღში რწყვის, მოშანდაგებისა და სარწყავი ქსელის მოწესრიგებას?

გ. ხეჩუაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

დედაქალაქის მოსახლეობას ახალი ხილ-ბოსტნეული

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დედაქალაქის მოსახლეობის მომარაგება ახალი ხილ-ბოსტნეულით. ჩვენი რეპუბლიკის რაიონებიდან თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებზე უყოველდღე მოდიან ავტომანქანათა კოლონები და მოაქვთ პამიდორი, კიტრი, კომბოსტო, ვაშლი, მსხალი, მწვანილი...

— უხვად მივაწოდოთ მოსახლეობას ახალი ხილ-ბოსტნეული, — ამ ლოზუნგით მუშაობენ ახლა თბილხილბოსტანეკონტრაქტორობისა და თბილკოოპეკონტრაქტორობის მუშაკები, საკოლმეურნეო სოფლის მოსახლეობა.

განსაკუთრებით გააძლიერა ხილ-ბოსტნეულის შემოზიდვა თბილკოოპეკონტრაქტორმა. თუ გასული თვის 20 ივლისამდე საშუალოდ დღეში 13 ტონა ხილ-ბოსტნეული შემოჰქონდათ, ამჟამად 35 ტონა შეაქვთ.

ხილ-ბოსტნეულით საკომისიო ვაჭრობისათვის ნაყოფიერად მუშაობენ მარნეულის რაიონის სოფელ კასუმლოს ხრუშჩოვისა და ვოროშილოვის სახელობის, თეთრი წყაროს რაიონის სოფლების ასურეთისა და ფარცხისის, გარდაბნის რაიონის სოფელ ქესალოს მოლოტოვისა და კიროვის სახელობის კოლმეურნეობები.

ზოგჯერ პროდუქტების შემოზიდვას ხელს უშლის ავტოტრანსპორტის სიმცირე. საკოლმეურნეო ბაზრებში ჯერ კიდევ არის პროდუქტებით სპეკულაციის შემთხვევები, უსუფთაობა, უწესრიგობა. ამ დამახინჯებათა და ბაკლოვანებათა გამოსწორებისათვის დაუყოვნებლივ უნდა აქცეს ზომები მიღებული.

სურათზე: თბილკოოპეკონტრაქტორობის პავილიონი თბილისის სტალინის სახელობის საკოლმეურნეო ბაზარში. გამყიდველი ვ. საბაშვილი (მარცხნივ) მომხმარებელს უწონის ახალ კომბოსტოს, გამყიდველი გ. ხაჩრაძე მომხმარებელს ურჩევს საზამთროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა

ზერილები რედაქციას

ნიგნის მაღაზიის შესაფერი ბინა

[illegible] ტულელ მეშახტეთა კულტურული დონე, იზრდება მოთხოვნილება წიგნზე. მრავალ მეშახტეს აქვს პირადი ბიბლიოთეკა, რომელსაც სისტემატურად ავსებს ახალი პერიოდული გამოცემებით.

მაგრამ ახალი წიგნების შეძენა ტყიბულში არც თუ ისე იოლია. საქმე ის არის, რომ ქალაქს აქვს წიგნის მხოლოდ ერთი მაღაზია, რომელიც შახტებს 5-6 კილომეტრით არის დაშორებული. ეს მაღაზიაც სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული. იგი მოთავსებულია შეუფერებელ და ვიწრო ბინაში. მაღაზიის კედლები და ჭერი ძლიერ დაზიანებულია, რაც წიგნების გაფუჭებას იწვევს. ისედაც ვიწრო ბინა საწყობის მოვალეობასაც ასრულებს. წიგნების ყოველი ახალი პარტიის მიღების დროს მაღაზიაში შესვლა შეუძლებელია, რის გამო ზოგჯერ მთელ დღეს წყდება ვაჭრობა.

ეს მდგომარეობა ცნობილია რაიონის ხელმძღვანელი მუშაკებისათვის, მაგრამ ისინი რატომღაც ზომებს არ იღებენ.

მეშახტეთა მზარდ ქალაქს — ტყიბულს 3-4 კეთილმოწყობილი წიგნის მაღაზია მაინც უნდა ჰქონდეს.

პ. ჭელიშვილი,

საპატიო მეშახტე, სოციალისტური შრომის გმირი.

ავტობუსის მოძრაობა მოუწესრიგებელია

ადგილობრივ მცხოვრებთა და მრავალი დამსვენებლის სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ხაშურ-სურამის ხაზზე დაინიშნა საავტომობილო მიმოსვლა. გამოიყო მხოლოდ ერთი ავტობუსი, რაც მგზავრთა გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

ავტობუსის ხაშურის სადგურთან ბევრი ხალხი იყრის თავს, ყველას უნდა პირველი ჩაჯდეს მანქანაში, რასაც შედეგად მოსდევს უწესრიგობა, ლანძღვა-გინება.

ეს ხდება იმ მოვლენაზე, რომელსაც რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა სამუშაო კაბინეტების ღია ფანჯრები დაჰყურებს, მაგრამ საჭირო ზომების მიღებისა და მგზავრთა კულტურული მომსახურებისათვის არავინ ფიქრობს.

საჭიროა სურამ-ხაშურის ხაზზე გამვებულ იქნას რამდენიმე ავტობუსი, ხოლო მილიციის ადგილობრივმა განყოფილებამ იზრუნოს გასაჩერებლებზე წესრიგის დამყარებისათვის.

ნ. მახარაძე.

გამოუქვეყნებელი წერილების ქვალდაქვალ

თბილისის სამგზავრო ავტოტრანსპორტის კანტორის უფროსი ამხ. გოგიშვილი გვწერს, რომ რედაქციიდან გაგზავნილ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. მგზავრებისადმი უხეში მოპყრობისათვის თბილისის ავტოსადგურის უფროსს ამხ. პ. გორდელაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ბრძოლის მაგალითები

მანქანათმშენებელთა გამოცდილება

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის შეუნელებელი ზრუნვა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის მხიშვნელოვანი და შემდგომი გაუმჯობესების, პარტიისა და მთავრობის მიერ მშრომელთა მილიონიანი მასების წინაშე დასახული კომუნისტური მშენებლობის პროგრამის შესრულების აუცილებელი წინაპირობაა.

საბჭოთა ხუთწლედების განმავლობაში განხორციელებულმა ინდუსტრიალიზაციამ და სახალხო მეურნეობის ძირეულმა რეკონსტრუქციამ შექმნა პირობები შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გადიდებისათვის. ცნობილია, რომ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გადიდდა 6-ჯერ, მშენებლობასა და რკინიგზის ტრანსპორტზე 3-ნახევარჯერ, ხოლო ჩვენს საბჭოთა სოფელში შრომის ნაყოფიერება ამჟამად 3-ჯერ აღემატება შრომის ნაყოფიერების რევოლუციამდელ დონეს.

მაგრამ სახალხო მეურნეობის განვითარების ახლანდელ ეტაპზე, საბჭოთა ხალხის კულტურულ-მატერიალურ მოთხოვნილებათა შეუნელებელი ზრდის პირობებში, კაპიტალისტურ ქვეყნებთან წარმატებითი ეკონომიური შეჯიბრების ვითარებაში შრომის ნაყოფიერების უკვე მიღწეული დონე საკმარისი აღარ არის. ამოცანა ახლა ის არის, რომ მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების ახალ, მძლავრ აღმავლობას.

სსრ კავშირის მოწინავე საწარმოთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდების რეზერვი ყველა საწარმოშია, მუშაობის ყველა უბანზეა. ორი მთავარი პირობა, რაც ყველა საწარმოს აქვს, — მძლავრი ტექნიკური ბაზა და ტექნიკას დაუფლებული კადრები, — იძლევა იმის საშუალებას, რომ ეს არსებული რეზერვები ავამოქმედოთ, გამოვიყენოთ და ამ გზით უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების შემდგომი განუხრელი აღმავლობა. ამისათვის საჭიროა შეუნელებელი ბრძოლა შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციისათვის, კადრების კულტურულ-ტექნიკური დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, წარმოების სწორი ორგანიზაციისათვის, შრომის რაციონალური ორგანიზაციისათვის, არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა სრულად გამოყენებისათვის. მაშასადამე, საჭიროა ტექნოლოგიურ დანადგართა გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, მოწყობილობის საგეგმო-გამაფრთხილებელი რემონტის დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულება და ა. შ.

ამ მხრივ საყურადღებო შედეგები მოიპოვეს თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში. ამ ქარხნის სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გვიჩვენეს შრომის ნაყოფიერების ზრდის მისაღწევად მასების ხელმძღვანელობის რამდენიმე კარგი მაგალითი. ამ მაგალითებზე აქ შეჩერება საჭიროდ და მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან ამის მიხედვით შეუძლიათ მოაწყონ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლა არა მარტო მანქანათმშენებელ ქარხნებში, არამედ თითქმის ყველა პროფილის ინდუსტრიულ საწარმოებში.

ამბობენ, ყოველი საწარმოს მუშაობის ავ-კარგი, როგორც სარკეში, საწარმოო-საფინანსო გეგმის გრაფებში ჩანსო. 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების მაჩვენებლები წლის პირველი ნახევრის ბოლოს ასეთი იყო: საერთო პროდუქციის გამოშვების ექვსი თვის გეგმა შესრულებული ჰქონდათ 112,9 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა — 115,4 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულების თანდათანობით შემცირების შედეგად ქარხნის კოლექტივმა 764.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მოგვცა.

ამასთან შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა პირველ კვარტალში შესრულებულ იქნა 103 პროცენტით, ხოლო მეორე კვარტალში 109,6 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში პირველი „შეტევის“ ობიექტად აქ არჩეულ იქნა ნახევრადავტომატური აბრეშუმსაქსოვი მანქანა „ჩგსპ-53“. ეს მანქანა ქარხნის ერთერთი ძირითადი პროდუქციაა, და თუ კოლექტივი მიაღწევდა ამ მანქანის წარმოებაში შრომის ნაყოფიერების მკვეთრ გადიდებას, ეს უთუოდ მოახდენდა დადებით გავლენას ქარხნის მუშაობის მთლიან სურათზე. აბრეშუმსაქსოვი ნახევრადავტომატური მანქანა რთულია. იგი 828 დეტალისაგან შედგება. მაშასადამე, ამ მანქანის წარმოებაში შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად საჭირო იყო ღონისძიებათა მოფიქრება თვითეული დეტალის მიხედვით, საჭირო იყო მანქანის დეტალების დამზადების მთელი ტექნოლოგიის ხელახლა შემოწმება გამარტივების მიზნით.

ამ ბრძოლას ქარხანაში სათავეში ჩაუდგნენ ინჟინერ-ტექნოლოგები, რომლებმაც ქარხნის მოწინავე ადამიანებთან ერთად დასახეს ღონისძიებანი თვითეული სამანქანო დეტალის დამზადების გასაადვილებლად. მაგალითად, ტექნოლოგების ერთმა ჯგუფმა (ს. ბაბაიანმა, ი. მინდიაშვილმა და ზ. სარიბეკოვმა) დაამუშავა ერთ-ერთი მთავარი სამანქანო დეტალის — მუხლა ლილვის წარმოების ახალი ტექნოლოგია, რომლის მიხედვით მუხლა ლილვის დამზადება უნდა მომხდარიყო ე. წ. საყალიბო ტვიფრით. წინათ კი ამ დეტალზე თითქმის ყველა პროფესიის ლითონდამამუშავებლები მუშაობდნენ. ახალი წესით მუხლა ლილვის დამზადებამ საუკეთესო შედეგი მოგვცა. ლითონის ხარჯი შემცირდა 40 პროცენტით, დეტალის თვითღირებულება — 2,2-ჯერ, ამასთან ერთთიორად ამაღლდა დეტალის ხარისხი. ასეთი ღონისძიებანი განხორციელდა მთელ რიგ სხვა დეტალებზეც. მაგალითად, საქსოვი მანქანის სახელურების დამზადება წინათ ოთხ სხვადასხვა ტიპის ჩარხზე ხდებოდა. ახალი გამარტივებული ტექნოლოგიის მიხედვით ახლა სახელურების დამზადებაზე ლითონი 2,7-ჯერ ნაკლები რაოდენობით იხარჯება, ხოლო შრომის ნაყოფიერება გადიდებულია 12-ჯერ.

პირველი კვარტალის ბოლოს მიღებულმა შედეგებმა მანქანათმშენებლებს პირველი სიხარული მოუტანა:

ნახევრადავტომატური აბრეშუმსაქსოვი მანქანის თვითღირებულება შემცირდა 1.164 მანეთით და ამასთან საგრძნობლად შემოკლდა მანქანის ცალკე კვანძების აწყობის დრო, ე. ი. შეიქმნა იმის შესაძლებლობა, რომ ქარხანას გაედიდებინა ამ ტიპის საფეიქრო მანქანების გამოშვება.

წლის მეორე კვარტალში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლა ქარხნის კოლექტივმა კიდევ უფრო გააძლიერა. ამ ბრძოლაში ფართოდ ჩაებეს რაციონალიზატორები, წარმოების მოწინავე ადამიანები. რაციონალიზატორებს მიცემული ჰქონდათ თემატიკური დავალებანი სამანქანო დეტალთა წარმოებაზე შრომატევადობის შემცირების, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და მანქანა-მოწყობილობის გამართული მუშაობის უზრუნველყოფის შესახებ.

რაციონალიზატორებმა და წარმოების მოწინავე ადამიანებმა მიცემულ თემატიკურ დავალებათა მიხედვით მრავალი წინადადება წარმოადგინეს. დიდი ნაწილი ამ წინადადებებისა დაუყოვნებლივ განიხილეს, მიიღეს და დანერგეს. ამან კიდევ უფრო აამაღლა შრომის ნაყოფიერება. მარტო ერთი რაციონალიზატორის — საექსპერიმენტო საამქროს ოსტატის ი. ცაგარელის წინადადება ქარხანას 15.278 მანეთის ეკონომიას აძლევს.

ივლისისათვის საქსოვი მანქანის თვითღირებულება კვლავ შემცირებული აღმოჩნდა 1.546 მანეთით. ამრიგად, მარტო ამ მანქანის წარმოებაზე ექვსი თვის განმავლობაში საქარხნო ხარჯები შემცირდა 2.710 მანეთით. ამავე დროს გრძელდებოდა ღონისძიებათა განხორციელება სხვა საამქროებში, წარმოების ციკლის ყველა გადასასვლელზე.

მეორე ამწყობ საამქროში შეუდგნენ ე. წ. ელექტროტელფერის გამართვას. ტელფერი ამწე მექანიზმია, რომლის საშუალებითაც ხდება მძიმე დეტალების გადაადგილება. მარტო ამ ღონისძიების განხორციელებით შესაძლებელი გახდა ამწყობი საამქროდან ექვსი კაცის განთავისუფლება უფრო მაღალი კვალიფიკაციის სამუშაოებზე გამოსაყენებლად და ამავე დროს დიდად გაიზარდა დეტალების გადამტანთა შრომის ნაყოფიერება. თუ წინათ 12 კაცი ძლივს ახერხებდა 428 ტონა დეტალების გადაზიდვას, ახლა 6 კაცს გადააქვს 200-220 ტონით მეტი.

შეუდგნენ აგრეთვე საამქროთა შორის ტრანსპორტირების გასაადვილებელ ღონისძიებათა განხორციელებას. გასულ წელს ლითონის საწყობი დამამზადებელი საამქროს დაშორებით იყო. აქედან ლითონი დამამზადებელ საამქროში უნდა ეზიდათ. ამ საამქროდან კი გადასამუშავებელი ლითონნამზადი ჩამოიტანდა ყველა საამქროს და რამდენჯერმე მოხვდებოდა საწყობის მახლობელ სხვადასხვა საამქროში. ახლა, როდესაც საწყობი დამამზადებელი საამქროს გვერდით გადაიტანეს, ლითონნამზადი მხოლოდ ერთ წრედ შემოივლის საამქროებს, რასაც ბევრად ნაკლები დრო სჭირდება და რაც აჩქარებს საწარმოო პროცესს.

კარგი შედეგები მოუტანა ქარხნის კოლექტივს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში მუშათა ინდივიდუალური სწავლების მოწესრიგებამ. მოწინავე სტახანოველთა მუშაობის გამოცდილების სხვებისათვის გადაცემა აქ ხდება უმთავრესად ინდივიდუალურად და ამას კარგი ნაყოფი მოაქვს. ზეინკალმა ა. ქაჩიბაიამ თავისი გამოცდილება, მუშაობის თავისი ჩვევები და ილეთები შეასწავლა ახალგაზრდა ზეინკალს დ. გამგებელს, რომელიც წინათ გეგმებს ვერ ასრულებდა. ამჟამად დ. გამგებელი გამომუშავების ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. მეყალიბე დ. ღვალაძემ თავისი მუშაობის ხერხები შეასწავლა ახალგაზრდა მეყალიბე გ. ავეტისიანს, რომელიც აგრეთვე მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

სულ ასეთი წესით განვლილი 6 თვის მანძილზე ქარხანაში კვალიფიკაცია იმაღლა და მუშაობის სტახანოვურ მეთოდებს დაეუფლა 80-მდე კაცი, ხოლო 59 კაცი ამჟამად იმაღლებს ოსტატობის კლასს.

მაგრამ ქარხნის კოლექტივს და მის ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ ყოველივე ის, რაც მათ შეუძლიათ გააკეთონ შრომის ნაყოფიერების შემდგომ გასადიდებლად. მთავარი მიზეზი, რაც აფერხებს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის ბრძოლას, არის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მოუწესრიგებლობა. ეს იწვევს იერიშობანას და კვეთებით მუშაობას. აპრილში შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება ქარხნის კოლექტივმა მხოლოდ 95,9 პროცენტით შეასრულა. მაისში ეს მაჩვენებელი უფრო დაბალი აღმოჩნდა (94,7 პროცენტი), ხოლო ივნისში შრომის ნაყოფიერებამ 37 პროცენტით ზრდა მოგვცა. შრომის ნაყოფიერების ასეთი ნახტომისებრი განვითარება აიხსნება ლითონნედლეულის ცუდი მომარაგებით.

საჭიროა მეტის გაკეთება სამანქანო დეტალების ნაკადური წარმოების მოსაწყობად, რათა ცალკე დეტალების საამქროებში მრავალგზის შეტანა საჭირო აღარ იქნეს. ეს რთული ამოცანაა. ქარხნის ხელმძღვანელებს (დირექტორი ამხ. დ. ყორყოლიანი, მთავარი ინჟინერი ამხ. პ. გიორგაძე) დასჭირდებათ მანქანა-დანადგართა თანდათანობით გადაჯგუფებიან განხორციელება, ტექნოლოგიური დანადგარების უფრო რაციონალურად გადაადგილება. ამით გაადვილდება ე. წ. სამარშრუტო ტექნოლოგიური პროცესების შესრულება, დაჩქარდება და გაუმჯობესდება დეტალების დამზადება.

საქარხნო პროფესიული ორგანიზაციის როლი (საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ი. მინდიაშვილი) შრომის ნაყოფიერებას გადიდებისათვის ბრძოლაში არ ჩანს. ცოტა რამ კეთდება წარმოების მოწინავე ადამიანების მიღწევათა პოპულარიზაციისათვის, მუშაობის ახალი მეთოდების მასობრივად დანერგვისათვის.

ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ამხ. ს. ვადაჭკორია) ქმედითი დახმარება უნდა გაუწიოს ადგილობრივ პროფორგანიზაციას მუშაობის გარდაქმნაში. შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ყველა შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებაში.

შრომის ნაყოფიერების ზრდაში მოპოვებული წარმატებანი მანქანათმშენებლებმა შემდეგში კიდევ უფრო უნდა გაღრმავონ.

დ. ლომთაძე, შ. ცირეკიძე.

მოძმე ხალხთა დიდ ოჯახში

პეკინი, 4 აგვისტო. (საკდესი). მტკიცე ერთიან ოჯახად მიდის ეკონომიური და კულტურული განვითარების გზით ჩინეთში მოსახლე ყველა ხალხი. სახალხო ხელისუფლების წლებში, წერს გაზეთი „გუნქენიბაო", ჩინეთის კომუნისტური პარტიის სწორი ეროვნული პოლიტიკის მეოხებით ჩინეთის სხვადასხვა ეროვნებებს შორის ძმეიდრო მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. იმპერიალისტური ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული რაიონების მშრომელებმა აქტიურად დაიწყეს თავიანთი ეკონომიკისა და კულტურის განვითარება და სახალხო სახელმწიფოს დახმარებით ამ მხრივ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. ამჟამად ჩინეთის ყველა ეროვნული რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონემ არა მარტო მიაღწია ომამდელ ყველაზე მაღალ დონეს, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში კიდევაც გადაჭარბა მას. მაგალითად, შიდა მონღოლეთის ავტონომიურ რაიონში 1953 წელს მარცვლის წარმოების დარგში ყველაზე მაღალი ომამდელი დონე გადაჭარბებულ იქნა 25 პროცენტით. სინძიანში მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი 1953 წელს განთავისუფლების შემდეგ პირველ პერიოდთან შედარებით გადიდდა თითქმის 60 პროცენტით. ცინხაის პროვინციაში ბირუტყვის სულადობა სახალხო ხელისუფლების წლებში 20 პროცენტით და უფრო მეტად გადიდდა.

გომინდანური რეჟიმის დროს ეროვნულ რაიონებში არ იყო თითქმის არავითარი მრეწველობა. ახლა შიდა მონღოლეთში, სინძიანში და სხვა რაიონებში იქმნება თანამედროვე ინდუსტრია. დიდი წარმატებებია მოპოვებული ტრანსპორტის განვითარებაში. გაჰყავთ გზატკეცილები, გაჩნდა რკინიგზის ბირეული ბაგისტრალები. მარტო სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთში ომის შემდგომ წლებში გაყვანილია 5.500 კილომეტრზე მეტი გზატკეცილი.

დიდი ცვლილებები მოხდა ჩინეთის ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ ცხოვრებაში. 1953 წელს სახელმწიფომ ეროვნულ რაიონებში სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისათვის გამოჰყო 318 მილიარდი იუანი. ყველგან იქნება ახალი სკოლები, ინსტიტუტები, კულტურული ცენტრები და სამკურნალო დაწესებულებანი. ახლა ჩინეთის ეროვნულ რაიონებში არის 50 საავადმყოფო 700-ზე მეტი ამბულატორია, ბევრი საექთნო პუნქტი და ეპიდემიის საწინააღმდეგო სადგური და სხვ. სახელმწიფო ეხმარება სხვადასხვა ეროვნებებს მათი დამწერლობის შექმნასა და განვითარებაში, დახმარებას უწევს ხალხური შემოქმედებისა და ხელოვნების განვითარებაში.

შემდგომი ეკონომიური აღმავლობის გზით

ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობა 1954 წელს

პრაღა, 4 აგვისტო. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს სახელმწიფო სტატისტიკური სამმართველოს ცნობა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის განვითარების 1954 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ.

ჩეხოსლოვაკიის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების ექვსი თვის გეგმა შეასრულა 101,4 პროცენტით, აქედან სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტრომ — 102 პროცენტით, მანქანათმშენებელი მრეწველობის სამინისტრომ — 100 პროცენტით, ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ 102 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ — 103 პროცენტით, მეტალურგიულმა მრეწველობამ ნახევარი წლის დაგეგმა შეასრულა 99,5 პროცენტით.

ცნობაში აღნიშნულია, რომ ექვსი თვის გეგმა გადამეტებით შესრულდა ქვანახშირისა და ფურა-ქვანახშირის, ნავთობის ამოღების, მანქანებისა და ჩარხების, მინერალური სასუქების წარმოების დარგში და სხვ.

საერთო პროდუქციის გამოშვება 1954 წლის პირველ ნახევარში 1953 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 3,5 პროცენტით.

საგაზაფხულო თესვის გეგმა შესრულებულია 98 პროცენტით. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა გეგმა შეასრულეს 111 პროცენტით. წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობამ მიიღო გაცილებით უფრო მეტი მანქანა, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

მნიშვნელოვნად გადიდდა სამრეწველო და სასურსათო საქონლის მიყიდვა მოსახლეობისათვის, მათ შორის ქსოვილებისა — 30 პროცენტით, ფეხსაცმლისა — 18 პროცენტით, ერბოკარაქისა — 44 პროცენტით, ბრინჯისა — ერთისამად, შაქრისა — 20 პროცენტით, ხორცის კონსერვებისა — ერთნორად.

ჩეხოსლოვაკიის საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვა 1953 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 8,4 პროცენტით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სხდომა

ბერლინი, 4 აგვისტო. (საკდესი). დღეს გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სხდომა.

პალატის სხდომაზე განიხილეს:

1. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება;

2. კანონი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის არჩევნების შესახებ, რომელიც დანიშნულია 1954 წლის 17 ოქტომბრისათვის;

3. კანონი საოლქო საბჭოების არჩევნების შესახებ;

4. კანონი ბუნების დაცვის შესახებ და სხვა საკითხები.

მთავრობის განცხადება იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ყენევის თათბირსა და საბჭოთა მთავრობის 1954 წლის 24 ივლისის ნოტას გერმანიის საკითხის გადაჭრისათვის, გააკეთა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა

ბერლინი, 4 აგვისტო. (საკდესი). აღნ-ის საგენტომ გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

მომდინარე წლის 2 და 3 აგვისტოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა დააპატიმრეს გელენის ჯაშუშური ორგანიზაციისა და ამერიკის საიდუმლო სამსახურის ბევრი აგენტი.

ჯაშუშური და მავნებელური საქმიანობა გამოაშკარავდა გერმანელი პატრიოტების სიფხიზლის მეოხებით, აგრეთვე იმ დოკუმენტებისა და ინფორმაციის მეოხებით, რომლებიც სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა მიიღეს ზემოხსენებულ საიდუმლო სამსახურთა თანამშრომლებისაგან.

დაპატიმრებულთა შორის არის რამდენიმე მთავარი აგენტი, ისეთები, როგორიც არიან შტოკჰაუზენი, ვადეიკი, ბისტრი, კნოლი და ამ საიდუმლო სამსახურთა შიკრიკები ესკე, კრაუზე და სხვ.

ამავე დროს ქვემო საქსონიის (დასავლეთი გერმანია. — **რედ.**) კონსტიტუციის დაცვის უწყების თანამშრომლის, რომელიც თავისი ნებით გამოცხადდა, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯაშუშური დავალების განზორციელებისას დაპატიმრებული იმავე ორგანიზაციის თანამშრომლის ჩვენებათა საფუძველზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ რიგ ოლქებში გაუნებლებულ იქნა ჯაშუშთა ჯგუფები.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა კონფისკაცია უყვეს მთელ რიგ საიდუმლო გადამცემებსა და სხვა დიდმნიშვნელოვან მასალებს.

გელენის ჯაშუშური ორგანიზაციისა და ამერიკის საიდუმლო სამსახურის თანამშრომლებმა (კაპპანკე, პრატერი და სხვ.), რომლებიც თავისი ნებით გამოცხადდნენ, გადმოგვცეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც აშკარავებენ ხსენებულ საიდუმლო სამსახურთა მტრულ საქმიანობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ.

როგორც დაპატიმრებულთა ჩვენების საფუძველზე, ისე გადმოცემული და კონფისკებული დოკუმენტების მეოხებით გამოძიებამ ცხადყო, რომ გელენის ჯაშუშური ორგანიზაციისა და სხვა საიდუმლო სამსახურთა, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შექმნილი მათი აგენტების ქსელის მიზანი იყო ხელი შეეშალათ გერმანიის ერთიანობის აღდგენისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

დახმარება უნგრეთის მოსახლეობას. რომელიც წყალდიდობისაგან დაზარალდა

ბუდაპეშტი, 4 აგვისტო. (საკდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება გაეწიოს დახმარება მოსახლეობას, რომელიც წყალდიდობისაგან დაზარალდა. საცხოვრებელ სახლების აღსადგენად დიერის კომიტატში, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა წყალდიდობისაგან, განაოყოფილია 10 მილიონი ფორინტი დახმარების ფონდში შეგროვებული თანხებიდან. ასეთივე თანხა გამოიყოფა მოსახლეობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრძელვადიანი უპროცენტო სესხის გასაცემად 10 წლის ვადით.

დასახულია აგრეთვე აღდგენითი სამუშაოებისათვის მოსახლეობის საშენი მასალებით უზრუნველყოფის ღონისძიებანი. პირუტყვის საკვებით უზრუნველსაყოფად ხელმეორედ დათესება მთელი რიგი კულტურები, რისთვისაც სახელმწიფო გამოყოფს თესლსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. წყალდიდობისაგან დაზარალებულ კოოპერატივებსა და ერთპიროვნულ გლეხებს ეძლევათ მთელი რიგი შეღავათები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო ჩაბარებისა და დამზადების, გადასახადების ხაზით და სხვ.

დემონსტრაციები და მიტინგები ისრაელში

ტელ-ავივი, 5 აგვისტო. (საკდესი). უკანასკნელი კვირის მანძილზე ხაიფაში, იერუსალიმსა და ტელ-ავივში მასობრივი დემონსტრაციები და მიტინგები მიმდინარეობდა იმის წინააღმდეგ საპროტესტოდ, რომ ისრაელში სიძვირე მატულობს, როგორც გაზეთი „კოლ ჰაამი" იუწყება, მასობრივი დემონსტრაცია და მიტინგი გაიმართა ტელ-ავივში ლოზუნგებით: „ძირს სიძვირე, მოგვეცით პური!", „პური, სამუშაო, დამოუკიდებლობა და მშვიდობა!", „მშვიდობა არაბებთან!", „გადამარჯოს მუშათა სოლიდარობას პურის, სამუშაოს, დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში!".

პარლამენტის დეპუტატნი ვილენსკამ მიტინგზე განაცხადა: მთავრობა ამტკიცებს, რომ ფულს ხარჯავს წარმოების გაზრდისა და განვითარებისათვის. სამდვილად ფული იხარჯება სტრატეგიული მიზნებისათვის, რომლებიც უცხოა ისრაელის ინტერესებისათვის. მთავრობა იმასთან ერთად, რომ ხელს უწყობს შეუფერხებელ ექსპლოატაციას და ნაღდ შემოსავალს აძლევს ბურჟუაზიას, აპირებს მიიღოს იმის შესაძლებლობა, რომ თავისუფლად დადოს აგრესიული ხელშეკრულებანი და დაუთმოს იმპერიალისტებს სამხედრო ბაზები.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გამოსვლა პრესკონფერენციაზე

ვაშინგტონი, 5 აგვისტო. (საკდესი). გუშინ მორიგ პრესკონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, უპასუხა რა ჟურნალისტთა კითხვაზე, შეეხო, კერძოდ, საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას ატომის ენერგიაზე. ეიზენჰაუერი ამტკიცებდა, რომ ამერიკის წინადადებას (ხუთეულობაშია მიღებული წინადადება, რომელიც პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა წამოაყენა 1953 წლის 8 დეკემბერს) თითქოს საბჭოთა კავშირი კეთილსასურველად არ შეხვდა.

მიუხედავად ამისა, ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ სავსებით მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება ატომის ენერგიის გამოყენების შესახებ და ამასთან აზრი გამოთქვა იმის სასარგებლოდ, რომ შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოებმა იკისრონ ვალდებულება არ გამოიყენონ ატომური და წყალბადის იარაღი და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღი.

ეიზენჰაუერმა კვლავ დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის საკითხში. მან განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ამჟამად „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას არ დაუშვებენ რაიმე ორგანიზაციაში, სადაც მათ რაიმე ხმა აქვთ".

ბენეერალ ლი სან ჩოს პროგესი

პეკინი, 4 აგვისტო. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება, დაზავების სამხედრო კომისიის საგანგებო სხდომაზე, რომელიც გუშინ მოწვეულ იქნა კორეა-ჩინეთის მხარის მოთხოვნით, კორეა-ჩინეთის მხარის დელეგაციის უფროსმა წევრმა გენერალ-ლეიტენანტმა ლი სან ჩომ მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის მხარე საფრთხეს უქმნის დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის პერსონალის უშიშროებას.

31 ივლისს სამხრეთ კორეაში — ინჩონში, პუსანში, კუნსანსა და სეულში — გაიმართა მთელი რიგი წინასწარ მომზადებული დემონსტრაციები, მოხდა დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის წევრებისა და მისი ნეიტრალური საინსპექციო ჯგუფების შეურაცხყოფელი გამოხდომები და მუქარა; ეს ინციდენტები მოაწყეს, მათ ხელმძღვანელობდნენ და მათში მონაწილეობას იღებდნენ ამერიკისა და ლისინმანელთა ხელისუფალნი და პოლიცია. პუსანსა და კუნსანში ნეიტრალური საინსპექციო ჯგუფების წევრებს სროლა აუტეხეს და ბომბებს ესროდნენ.

გენერალმა ლი სან ჩომ გააფრთხილა ამერიკის მხარე, რომ მან უნდა მიიღოს ქმედითი ღონისძიებანი ამ დანაშაულობათა შეწყვეტისათვის, რომელთა მიზანია საბოტაჟი გაუწიოს დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის მუშაობას, დაარღვიოს დაზავების შესახებ შეთანხმება და დაძაბული ვითარება შექმნას აზიაში. მან მოუწოდა ამერიკის მხარეს არ დაუშვას მსგავსი ინციდენტების გამეორება და მკაცრად დასაჯოს ყველა ის პირი, რომელიც დამნაშავეა ზემოაღნიშნულ ინციდენტებში.

ამერიკის მხარე შეეცადა ყველაფერი გაეკეთებინა იმისათვის, რომ თავიდან მოეხსნა პასუხისმგებლობა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ მის სამხედრო კონტროლზე მყოფ რაიონში ნამდვილად იდგილი ჰქონდა მთელ რიგ ინციდენტებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის პერსონალის უშიშროებას და ამ კომისიის მუშაობას. ამერიკის მხარემ აღნიშნა, რომ მომავალში იგი შეასრულებს თავის ვალდებულებებს კომისიის პერსონალისა და მუშაობის მიმართ.

კორეაში დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის წევრთა ერთობლივი განცხადება

პეკინი, 4 აგვისტო. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება, რომ დღეს დაზავების სამხედრო კომისიამ მიიღო დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიისა და შვეიცარიის წევრთა ერთობლივი წერილი. წერილში ნეიტრალური კომისიის წევრები დღე შემფოთებას გამოთქვამენ იმ ინციდენტების გამო, რომლებიც 31 ივლისს დაიწყო და ემუქრება ნეიტრალური კომისიის საინსპექციო ჯგუფების პერსონალის უშიშროებას სამხრეთ კორეის ადგილებში, რომლებიც ამერიკელთა სამხედრო კონტროლს ექვემდებარებიან. წერილში არის აგრეთვე მოთხოვნა, რომ ამერიკის ხელისუფლებამ მიიღოს ყველაზე ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური კომისიის პერსონალის უშიშროება და ნორმალური პირობები შექმნან ამ კომისიის საინსპექციო ჯგუფების მუშაობისათვის. წერილი, გარდა ამისა, შეიცავს მოთხოვნას დასაჯონ ის პირები, რომელთაც ბრალი მიუძღვით ინციდენტებში.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა" კლასი

მოსკოვი. 5 აგვისტო. დედაქალაქის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მიმდინარე წლის პირველობის გათამაშების ერთ-ერთი ცენტრალური ასპარეზობა ფეხბურთში მოსკოვის „დინამოსა" და „სპარტაკის" გუნდებს შორის.

საინტერესო ბრძოლა დამთავრდა მოსკოვის დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

ლენინგრადი. 5 აგვისტო. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე სსრ კავშირის XVI ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა გაიმართეს საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლისა და ლენინგრადის „წრომთთი რეზერვების" გუნდებმა. გამარჯვეს არმიელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:1.

„ბ" კლასი

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე შედგა „ბ" კლასის გუნდების მატჩი. თამაშობდნენ თბილისის ოფიციერთა საოლქო სახლისა და ქ. მოლოტოვის გუნდები. შეჯიბრება მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 6:0.

ბენეერალ ლი სან ჩოს პროგესი

თბილისი



თბილისი. ახალი საცხოვრებელი სახლები უნივერსიტეტის ქუჩაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

უხუცეს ავტომძღოლთა პატივისცემის საღამო

თბილისის ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო კანტორის საზეიმოდ მორთულ კლუბში გაიმართა უხუცეს მძღოლთა პატივისცემის საღამო.

კრების პრეზიდიუმში იჯდა თბილისის 10 ვეტერანი ავტომძღოლი — ა. ბენიევი, ა. თოდაშვილი, კ. ფარემუზაშვილი, გ. ავალიმოვი, ი. ლუკიანოვი, ბ. ამრესოვი, ა. სტეპანოვი, ა. აკოფოვი, გ. იერემაშვილი და პ. სხირტლაძე.

იუბილართა ხანგრძლივი და უმწიკლო მუშაობის, მათი მაღალი ოსტატობის შესახებ მოხსენება წაიკითხა კანტორის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. პ. გერარდიმ. მილოცვებით გამოვიდნენ ამხ. კოხრეიძე, იარალოვი, ასატაროვი და სხვ. იუბილარებს გადაეცათ საპატიო სიგელები და ძვირფასი საჩუქრები.

კრების მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ჩვენი ქვეყნის უხუცეს მოწინავე ავტომძღოლს, ლენინგრადის მსუბუქი ტაქსის მეორე ავტოპარკის მუშაკს ვლადიმერ კრილოვს.

ზაფხული ზოოპარკში

ზაფხულის დღეებში განსაკუთრებით ბევრი მნახველი ჰყავს თბილისის ზოოლოგიურ პარკს. აქ მოდიან როგორც თბილისელები, ისე ექსკურსანტები, რომლებიც ჩამოდიან თბილისის ღირსშესანიშნაობათა სანახავად.

თბილისის ზოოპარკის ბინადართა კოლექცია თანდათანობით ივსება ახალდაბადებული ცხოველებით. ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ცხოველთა ფაუნის ძვირფასსა წარმომადგენელმა შველმა მოიგო ნუკრი. ზოოპარკში ეს პირველი შემთხვევაა. ნუკრი უკვე ეკუნტრუშობს. დედაც მზრუნველობით პატრონობს თავის შვილს. აქვეა ორკუზიანი აქლემის კოზაკი, რომელიც გაზაფხულზეა დაბადებული, ზანტად დასდევს დედას. ზოოლოგიური პარკის ცხოველთა სამყაროს ახალი წევრები შეესინეს გარეულმა ცხვრებმა, ირემლაღებმა, ყირიმის ირმებმა, ჰამადრილის ჯიშის მაიმუნმა და სხვ.

ავსტრალიური პატარა ხუმუკა თუთიყუშები მთელი წლის განმავლობაში ბარტყობენ. ვოლიერში, სადაც ისინი ბინადრობენ, ჩადგმულია პატარ-პატარა სახლები, რომლებშიც დედლები სხედან კვერცხებზე, მამლებს კი საკვები მოაქვთ და გალობით ართობენ დედლებს.

ოცდაერთი წელი შეუსრულდა ინდოეთის სპილოს „მალკას". მას ზოოპარკში განსაკუთრებულად უვლიან.

ლამაზმა კავკასიურმა ირმებმა გაზაფხულზე მოიცვალეს თავიანთი ჯოტოტოვანი რქები, ახლა კი კვლავ ამოუვიდათ.

მომდინარე წელს გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს ახალი ვოლიერების მშენებლობა და სარემონტო სამუშაოები. უკვე დამთავრდა ბეჰემოტის საზაფხულო ვოლიერის მშენებლობა. ამ დღეებში დაიწყება ბეჰემოტის და ზღვის ლომის საზამთრო ბინების აგება.

ალ. ივარდავა.

საზაფხულო ასორტიმენტის ტანსაცმელი

საქართველოს სამკერვალო მრეწველობის ტრესტის ფაბრიკები მთლიანად გადავიდნენ საზაფხულო სეზონისათვის რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების შეკვეთებზე.

თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკა ამჟამად მასობრივად კერავს მამაკაცის, ქალისა და ბავშვის საზაფხულო პალტოებს, საწვიმრებს, აგრეთვე ეგრეთწოდებულ „სამტვერეებს" საზაფხულო სეზონის მოდელების მიხედვით. თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკა ყოველდღე უშვებს 1.200 ცალ ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმის ზედა პერანგს მამაკაცისა და ბავშვისათვის აქვე დიდი რაოდენობით იკერება ტილოს კოტლეტები და შარვლები. თბილისის მეექვსე ფაბრიკა ზაფხულის სეზონისათვის მასობრივად უშვებს მამაკაცის სხვადასხვა ფერის სპორტულ კოსტიუმებს.

საქართველოს სამკერვალო მრეწველობის ტრესტის ფაბრიკები 1953 წელთან შედარებით 24-26 პროცენტით მეტ საზაფხულო ტანსაცმელს გამოუშვებენ.

რესპუბლიკის სამკერვალო ფაბრიკებს დიდ დახმარებას უწევს საქართველოს მოდელების სახლი, რომელმაც უკვე დაამუშავა და გადასცა სამკერვალო ფაბრიკებს სხვადასხვა ფასონის საზაფხულო ტანსაცმლის 81 მოდელი. აქედან წარმოებაში მასობრივი გამოშვებისათვის დაჯერგილია 61.

მოკლედ

ადგილობრივი მოსახლეობისა და მოაგარაკეების უკეთ მომსახურებისათვის თბილისტანდაპრომმა საგარეუბნო კურორტ წყნეთში გახსნა ხილ-ბოსტნეულის ახალი პავილიონი.

„პობედის" მარკის 6 ახალი მსუბუქი ავტომანქანა—ტაქსი მიიღო თბილისის ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო კანტორამ.

მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ი. ო. მოსაშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ი. ო. მოსაშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისია იუწყება, რომ 6 აგვისტოს საღამოს 8 საათზე განსვენებულის ბინაზე (ლენინის ქ., № 20) შედგება სამოქალაქო პანაშვიდი.

შაბათს, 7 აგვისტოს, ი. ო. მოსაშვილის ნეშტი დასვენებული იქნება მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ., 13). შესვლა გამოსათხოვებლად დღის 12-დან 3 საათამდე.

დღის 4 საათზე მწერალთა სასახლეში შედგება სამოქალაქო პანაშვიდი. გამოსვენება შაბათს, 7 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე.

ი. ო. მოსაშვილის დაკრძალვა მოხდება საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურაბიკიძე.

გვატემალის ტრაგედია

ამჟამად მსოფლიოში არავის არ ეეჭვება, რომ როგორც ინტერვენცია, ისე სამხედრო გადატრიალება გვატემალაში მოაწყეს ამერიკის დიპლომატიამ და დაზვერვამ კომპანია „იუნაიტედ ფრუტის" დავალებით. იმ ფარსის უკანასკნელი აქტი, რომელიც ამერიკის ამ ორმა სამსახურმა დადგა გვატემალაში, იყო გვატემალაში ამერიკის ელჩის პერიფუას გაგზავნება სალვადორს, რათა ერთმანეთისათვის შეეხვედრებინა „იუნაიტედ ფრუტის" ორი გამოზრდილი და გვატემალელი ხალხის გამცემნი არმასი და მონსონი, ხოლო შემდეგ არმასი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თვითმფრინავით ჩაეყვანა გვატემალის დედაქალაქში, რათა მას დაეკავებინა ამ ქვეყნის „პრეზიდენტის" პოსტი.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა მორგ პრეს-კონფერენციაზე რწმენა გამოთქვა, რომ ხროვა, რომელმაც გვატემალაში ხელი ხელთ იგდო ძალაუფლება, „შეძლებს შეასრულოს თავისი საერთაშორისო ვალდებულებანი".

ამ ხროვის წარმომადგენელმა, რომელიც პრესკონფერენციაზე გამოვიდა ქალაქ გვატემალაში, განმარტა, თუ რა „საერთაშორისო ვალდებულებანი" ჰქონდა მხედველობაში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს. მან განაცხადა, რომ გვატემალის ახალმა „მთავრობამ" გადაწყვიტა არ იქონიოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, აგრეთვე გადაწყვიტა ხელი მოაწეროს ანტიკომუნისტურ რეზოლუციას, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წელს შეიტანეს უკანასკნელ პანამერიკულ კონფერენციაზე.

გვატემალის „მთავრობა", განაცხადა მან, იმოქმედებს დასავლეთის სახელმწიფოებთან თანხმობით. შეეხო რა სანინო პრობლემებს, სამხედრო ხროვის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთავრობა მიესალმება უცხოეთის კაპიტალდაბნდებებს და „ნამდვილ დემოკრატიული მთავრობის" უზრუნველყოფისათვის გადასინჯავს გვატემალის კონსტიტუციას, რომლის ნოქმედება უკვე შეჩერებულია.

არმასის სამხედრო ხროვა, რომელმაც ხელთ იგდო ძალაუფლება, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით ცხადყოფს ერთგულებას თავისი ბატონ-პატრონებისადმი. მან გამოაცხადა, რომ მოქმედება შეწყვიტა აგრარული რეფორმის კანონმა, რომლის თანახმად გლეხთა 60 ათასმა ოჯახმა მიიღო ამერიკის კომპანია „იუნაიტედ ფრუტისა" და სხვა მსხვილი მიწათმფლობელებისათვის ჩამორთმეული მიწა. გვატემალაში ახლა მიღებულია „დრეიბითი" აგრარული კანონი, რომლის მიხედვით „იუნაიტედ ფრუტს" დაუბრუნებენ ყველა ნაწილს, რომელიც არბენსის მთავრობამ ჩამოართვა.

„იუნაიტედ ფრუტის" დაქირავებულნი სასტიკად უსწორდებიან იმ გვატემალელებს, რომლებმაც რამენაირად შელახეს ცენტრალური ამერიკის ამ „ბანანის იმპერიის" ინტერესები.

გვატემალაში გამეფებულია ტერორი, აპატიმრებენ ყველას, ვისზედაც ეეჭვ მიაქვთ, რომ თანაგრძნობით ეპყრობოდა არბენსის მთავრობას, იღვრება სისხლი. პრესის ცნობებით, ახალმა მმართველებმა დახვრიტეს ბანანის პლანტაციების მუშათა ამას წინათ წარმატებით დამთავრებული გაფიცვის 45 ხელმძღვანელი, გაფიცვისა, რომლის შედეგად კომპანია „იუნაიტედ ფრუტთან" ხელმოწერილ იქნა უფრო ხელსაყრელი კოლექტიური ხელშეკრულება. დახვრიტეს აგრეთვე მოსამართლე რომეროო რეიეს ფლორესი იმისათვის, რომ გამოჰქონდა გადაწყვეტილებანი არა „იუნაიტედ ფრუტის" სასარგებლოდ. გვატემალის საპყრობილეები გაჭედილია. დილეგებში გმინავს 4 ათასზე მეტი კაცი თავიანთი ხვედრის მოლოდინში. გვატემალიდან ჩამოსული მექსიკელი მხატვრის გარსია ბუსტოსის სიტყვით, გვატემალაში დაძრწიან ბანდიტთა ბრბოები, რომლებიც ხოცავენ მუშებსა და გლეხებს, ძარცვავენ წინანდელი მთავრობის მომხრეთა სახლებს და იტაცებენ ქონებას.

არმასის სამხედრო ხროვამ დიდი ამბით გაპოაცხადა, რომ გვატემალაში მოხდება „დემოკრატიული" არჩევნები. ასეთი უკაცრავად პასუხია „დემოკრატიული" არჩევნების უზრუნველსაყოფად მიღებულ იქნა კახონი, რომელიც წერა-კითხვის უცოდინართ ართმევს ხმის უფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მოზრდილი მოსახლეობის 73 პროცენტი არჩევნებში ონაწილეობას ვერ მიიღებს.

გვატემალელი ხალხის ტრაგედიამ, ხალხისა, რომლის უფლებანი და თავისუფლებანი ფეხქვეშ გათელეს „იუნაიტედ ფრუტის" დაქირავებულთა ბანდებმა, ერთხელ კიდევ უჩვენა მთელ მსოფლიოს სახე ამერიკის იმპერიალიზმისა, რომელიც თრგუნავს ბატარა და დიდი ქვეყნების სუვერენიტეტს, აბუჩად იგდებს საერთაშორისო სამართალს და დემოკრატიულ თავისუფლებებს.

ბ. პოდკოპაევი.

თბილისის „დინამოს" სტადიონი
საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ვაჟთა გუნდებს შორის
კაღათბურთში
7 აგვისტოს
საფრანგეთი (ქ. ლიონი) — **თბილისი (ქალაქის ნაკრები)**
10 აგვისტოს
საფრანგეთი (ქ. ლიონი) — **თბილისი („დინამო"—ოსტატები)**
დასაწყისი 18 ს. 30 წ.

ულინათლო ბავშვთა მშობლების საყურადღებოდ
უსინათლო ბავშვებისათვის არსებობს სპეციალური 8-კლასიანი სკოლა-ინტერნატი. სწავლის დამთავრებამდე ბავშვები აქ იმყოფებიან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. შესაფერისი ასაკის უსინათლო ბავშვები მიიღებიან როგორც პირველ კლასში, ისე სხვა კლასებში იმის მიხედვით, თუ რომელი კლასებიდან არიან გამოსული.
განცხადებათა მიღება იწარმოებს 1 სექტემბრამდე. ბავშვები ჩამოყვანილ უნდა იქნან თბილისში ა. წ. 31 აგვისტომდე.
საჭიროა შემდეგი საბუთები: დაბადების მოწმობა, ცნობა მხედველობის და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.
მისამართი: თბილისი, გუთნის ქ. № 6.

სახელმწიფო დაზღვევა აწარმოებს სიცოცხლის ნებაყოფლობით დაზღვევას
სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ერთი ან რამდენიმე სახეობის დაზღვევაზე სხვადასხვა ვადით და სხვადასხვა თანხით.
დაზღვევის ხელშეკრულებათა დასადებად მიმართეთ სახლდაზღვევის ინსპექციას ან გამოიძახეთ შინ დაზღვევის აგენტი.
სახლდაზღვევის სამმართველო
საქართველოს სს რესპუბლიკაში

ულინათლო ბავშვთა მშობლების საყურადღებოდ
ულინათლო ბავშვებისათვის არსებობს სპეციალური 8-კლასიანი სკოლა-ინტერნატი. სწავლის დამთავრებამდე ბავშვები აქ იმყოფებიან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. შესაფერისი ასაკის ულინათლო ბავშვები მიიღებიან როგორც პირველ კლასში, ისე სხვა კლასებში იმის მიხედვით, თუ რომელი კლასებიდან არიან გამოსული.
განცხადებათა მიღება იწარმოებს 1 სექტემბრამდე. ბავშვები ჩამოყვანილ უნდა იქნან თბილისში ა. წ. 31 აგვისტომდე.